# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 1 ოქტომბერი 2004 №228 (2249) ფასი 50 თეთრი



ზურაბ დოლენჯაშვილის ფოტო

# დი-ნა-მოს ახალი ენერგია





ჯაბა კანკავას ცოტა დაცლდა და პირველი პენალტი მისი იქნებოდა

# დინამისტიკა
## ისტორიის მეოთხედი

მატჩისწინა ხმაური და მღელვარება დიდი იყო, პოლიტიკურ პერსონაჟებზე უფრო ხალხი „დინამოზე“ ლაპარაკობდა. გუშინ, დაახლოებით დილის რვა საათზე რადიოსადგურ „თავისუფლებაზეც“ ფეხბურთზე საუბრობდნენ და მწერალმა აკა მორჩილაძემ თქვა, საქართველოს ისტორიას ოთხი რამ ქმნიდაო: მართლმადიდებლობა, ბაგრატიონები, კახური ღვინო და თბილისის „დინამო“

**დავით თავართქილაძე**

გუშინ დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში „დინამომ“ პირველად მოახერხა, რომ ევროტურნირში სექტემბერს გასცდა— ასეთი ძღვენი მიართვა „დინამომ“ ქართველ ხალხს — საქართველო ევროპულ საკლუბო ფეხბურთს მინიმუმ კიდევ ორი თვით შეაწება, ევროპა „დინამოსკენ“ და საქართველოსკენ გამოახედა.

...რაც გია გეგუჩაძე „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი გახდა, სულ რისკზე მიდის. თავისებური ავანტიურა იყო, როცა ივო შუშაკი გუნდიდან დაითხოვეს და მის ნაცვლად გეგუჩაძე დანიშნეს. მაშინ რისკმა არ გაამართლა, „დინამო“ ჩემპიონი ვერ გახდა, მაგრამ გეგუჩაძე მაინც რისკზე მიდიოდა — გუნდიდან რამდენიმე სახელიანი ფეხბურთელი გაუშვა, ნაკლებად სახელიანები მიიყვანა, მეტწილად „დინამო 2“-ის ახალგაზრდობა. ძალიან ადვილი წარმოსადგენია, წარუმატებლობების შემთხვევაში რა ქოქოლა დაეყრებოდა გეგუჩაძეს, მაგრამ მისმა კასკადებმა გაამართლა, გეგუჩაძეს იღბლის თაიგული ერგო და ღმერთი განა იმას არ სწყალობს, ვისაც მხრებზე თავი აბია?!

ვფიქრობ, „დინამოს“ ზედმეტი მისტიფიკაცია არც სჭირდება, რაც გუშინ მოხდა, ეს ნამდვილი მისტიკა იყო, ამას ქართული გუნდებიდან მხოლოდ „დინამო“ თუ შეძლებდა, „დინამოა“ და იმიტომ.

მისტიკაა ისიც, რომ როცა „დინამოს“ დილმის ბაზაზე ხარ, სულ სხვანაირად სუნთქავ, სულ სხვანაირად ხარ მოქნილი და მომართული, „დინამოს“ სიმხურვალეს ვერ აგრილებ და არც გინდა, რომ გააგრილო და აქ პათეტიკას არაფერი ესაქმება, რადგან საქმე თბილისის „დინამოს“ ეხება.

...თუ კუთხურების ორიგინალურად გათამაშებას გავატარებთ, გეგუჩაძის „დინამოს“ პოლონეთის ჩემპიონისთვის ახალი არაფერი შეუთავაზებია. ამ „დინამოს“ რეზერვში არც არაფერი ჰქონდა, რაც გააჩნდა, ის დადო მინდორზე. თუმც გეგუჩაძეს ლადო ახალაია ჰყავდა შემონახული. ეს ფეხბურთელიც ცოტა ხნის წინ ლამის გუნდიდან დაითხოვეს, „დინამო 2“-ში უკრეს თავი ყოვლად გაუგებარ მიზეზთა გამო, მაგრამ ახლა ამის გარჩევის დრო არ არის, მთავარია, რომ ახალაია, ვინც უთამაშებლობის გამო საუკეთესო ფორმისგან ძალიან შორს არის, მაინც ეფექტურად გამოიყენა გეგუჩაძემ.

ერთხელაც ვნახეთ, რომ ძალიან მაგარი ჯეელია ჯაბა კანკავა. როცა ჯაბა თამაშობს, „დინამო“ თითქოს ტანკში ზის და მეტოქის ტყვია-ჭურვისა არ ეშინია.

...ერთხელაც ვნახეთ, რომ გიორგი ნემსაძის გამოცდილება და კლასი ძალიან ფასეულია, რომერო კი ფეხებს ჰოკეის ყვანჯებივით იქნევს და გუნდიდან ამოვარდნილია.

...ერთხელაც ვნახეთ, რომ „ვისლა“ მაღალი დონის გუნდია, ხოლო მაცეი ჟურავსკი და მიროსლავ შიმკოვიაკი ევროპული რანგის ფეხბურთელები არიან.

...ერთხელაც ვნახეთ, რომ გეგუჩაძე ნიჭიერი, ყისმათიანი მწვრთნელია, რომელმაც ახლადშექმნილი გუნდით ძალიან დიდ წარმატებას მიაღწია.

...ერთხელაც ვნახეთ, რომ ხალხი სტადიონზე მივიდა, ემოციისგან დაიცალა და „დინამოს“ გამარჯვებით დატკბა — ყველაფერ ამას გემო ბოლოს 1996 წელს გავუსინჯეთ, როცა უეფას თასის ოცდამეთორმეტედფინალში მოსკოვის „ტორპედო“ ჩამოვიცილეთ გზიდან.

როცა „ვისლამდე“ „დინამომ“ ჩეხური „სლავია“ ჩამოიცილა გზიდან, ჩვენებს ახალი დინამოელები ვუწოდეთ და ასეთმა ეპითეტმა გუშინაც გაამართლა — გეგუჩაძის „დინამომ“ ახალი დროება შემოაგდო ქართულ საზოგადოებაში, დროება საქმის კეთებისა და წარმატებისა, ეს „დინამო“ ისეთ ილუმინაციას ჰგავს, რომელიც ნამჯას ალმასად აქცევს.

გუშინდელი დღე „დინამოს“ ერთი ლამაზი ამბავია. „დინამო“ თითქოს ფორესტ გამპის ბუმბულივითაა, რომელიც ისტორიაში და ცხოვრებაში გვამოგზაურებს.

## პრესკონფერენცია

*ჰენრიკ კასპერჩაკი:* „დინამომ“ დიდი შემართებით ითამაშა. საბოლოო შედეგზე დიდი გავლენა მოახდინა პირველმა მატჩმა. დღეს ძალიან რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდით — მეორე ტაიმში ათნი დავრჩით. „დინამომ“ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ კარგ ფეხბურთს თამაშობს.

*გია გეგუჩაძე:* ძალიან ძლიერ გუნდს მოვუგეთ. ეს გამარჯვება ქართველ ხალხს უფრო სჭირდებოდა, ვიდრე პოლონელებს და ალბათ ამანაც განაპირობა ასეთი შედეგი. იმედია, „დინამოს“ ამ წარმატებას სხვა ქართული გუნდებიც აიტაცებენ.

— საშუალება რომ იყოს, ჩემს ფეხბურთელებს სამი-ოთხი დღით შვებულებაში გავუშვებდი. მეორე ტაიმში ჩვენი ფეხბურთელები დაიღალნენ, მაგრამ გოლები იქით გავუტანეთ მეტოქეს.

— ასეთ წარმატებას ჩვენ თვითონ არ ველოდით, თორემ სეზონის წინ სხვანაირად წარვმართავდით გუნდის სელექციას.

— ამ მატჩში იღბალი მართლაც ჩვენს მხარეზე იყო. ალბათ, იღბლიანი მწვრთნელი ვარ.

## უეფას თასი 2004-2005

III საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

თბილისი. 30 სექტემბერი. 19 საათი. ეროვნული. 20 000 მაყურებელი

### დინამო 2:1 ვისლა

1:0 ნემსაძე (60პ), 2:0 კაკალაძე (66), 2:1 ფრანკოვსკი(76)

მწვრთნელი გია გეგუჩაძე

12 მამალაძე

4 სალუქვაძე, 2 ჭიჭველიშვილი

5 შაშიაშვილი, 16 კვირკველია

23 კანკავა, 3 კანდელაკი

7 ნემსაძე

6 ალადაშვილი

21 კაკალაძე

18 მელქაძე

9 ჟურავსკი, 21 ფრანკოვსკი

7 გორავსკი

17 ზინჩუკი, 4 ბაშჩინსკი

2 შიმკოვიაკი

20 კანტორო

3 სტოლარჩიკი, 30 ტ. კლოსი

6 გლოვაცკი

33 მაიდანი

მწვრთნელი ჰენრიკ კასპერჩაკი

შეცვლა: ალადაშვილი – 9. ახალაია (53), გორავსკი – 14. კუკიელკა (61), მელქაძე – 25. რომერო (67), ზინჩუკი – 31. კუჟბა (69), კაკალაძე– 27. გრიგალაშვილი (81)

გაფრთხილება: შაშიაშვილი (29), კანკავა (80), კლოსი (89), კუჟბა (90)

გაძევება: ბაშჩინსკი (59)

მსაჯები: კენეტ კლარკი; ენდი დევისი, სტიუარტ მაკული; კრეიგ ტომსონი (ყველა შოტლანდია)

უეფას დელეგატი: გევორქ ჰოვანესიანი (სომხეთი)

უეფას ინსპექტორი: ზდრანკო ჯოკიჩი (სერბეთი)



ეროვნული ბიბლიოთეკა



ნამატჩევს „ვისლა“ როგორ ხასიათზე იქნებოდა, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს. პოლონელებს დანა პირს არ უხსნიდათ, თავ-პირი ჩამოსტიროდათ და, რა თქმა უნდა, ჟურნალისტებთან ურთიერთობასაც ერიდებოდნენ.

თუმცა, მაინც, „ვისლას“ რამდენიმე ფეხბურთელი გასახდელიდან ავტობუსამდე გზაზე შევაყოვნეთ...



მაცეი ჟურავსკი



ტადეუშ ჩერვინსკი

*მაცეი ჟურავსკი:* გაოგნებული ვარ, მიჭირს იმის დაჯერება, რომ უეფას თასიდან გავვარდით. რა გითხრათ, არც კი ვიცი.

— ანგარიში ლოგიკურად მიგაჩნიათ?

— მატჩი 2:1 დამთავრდა და ამით ყველაფერი ნათქვამია.

— ცოტა იღბალი რომ გქონოდათ...

— არა, იღბალი რა სათქმელია, „დინამოსაც“ ხომ ჰქონდა რამდენიმე ნაღდი მომენტი? მიმაჩნია, რომ დღეს ფორტუნა ძლიერის მხარეს იყო.

— მსაჯობაზე რას იტყვით?

— ნორმალური მსაჯობა იყო.

*მიროსლავ შიმკოვიაკი:* საშინლად იმედგაცრუებული ვარ. მატჩამდე ვინმეს რომ ეთქვა, თბილისში წააგებთო, გიჟად ჩავთვლიდი. „დინამოს“ მოგებას ვულოცავ და წარმატებას ვუსურვებ.

— როგორ ფიქრობთ, „დინამომ“ რით გაჯობათ?

—ალბათ, ჩვენზე მეტად სურდათ თქვენებს მოგება. „დინამო“ ძალიან ბრძოლისუნარიანი გუნდია.

— თქვენი დღევანდელი წაგება შემთხვევითობა იყო?

— შემთხვევით არაფერი ხდება, „დინამომ“ დამსახურებულად მოიგო.

*ტომაშ ფრანკოვსკი:* ცოტა იღბალიც რომ გვქონოდა, არ წავაგებდით. რაც მოხდა, ჩემთვის წარმოუდგენელია. ყველაფერი ჩვენი ბრალია, მეტოქემ დაგვსაჯა.

— ზედმეტად თავდაჯერებულები იყავით?

— არა, მაგრამ მაინც არ მეგონა „დინამოსთან“ თუ დავმარცხდებოდით. ვიცოდით, როგორ მეტოქესთან ვთამაშობდით, მაგრამ მაინც წავაგეთ. გამოდის, რომ „დინამო“ ჩვენზე ძლიერი გუნდია, წარმატებას ვუსურვებ.

*ტადეუშ ჩერვინსკი, „ვისლას“ პრეზიდენტი:* იცით, „ვისლამ“ როდის წააგო? მაშინ, როცა კრაკოვში მესამე გოლი საკუთარ კარში გაიტანა. დღეს გამოჩნდა აი, იმ გოლის ფასი... თუმც ახლა რაღა გაეწყობა — ბრძოლაში წავაგეთ. ვულოცავ „დინამოს“ ამ წარმატებას. უეფას ჯგუფურ ეტაპზე, ჩათვალეთ, რომ მთელი „ვისლა“ „დინამოს“ ქომაგი იქნება.

— დღეს რა იყო „ვისლას“ დამარცხების მიზეზი?

— რა გითხრათ. „დინამომ“ უკეთ ითამაშა და სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვა. ესაა წაგების მიზეზი... ისე, მსაჯს 0:0-ზე ჩვენს სასარგებლოდ პენალტის დანიშვნა შეეძლო. რომ დაენიშნა და გაგვეტანა, დარწმუნებული ვარ, მოვიგებდით.

— მსაჯებთან პრეტენზიები გაქვთ?

— არა, არანაირი, მათ შეცდომებს შედეგზე გავლენა არ ჰქონია.

— აბა, პენალტი თუ არ დანიშნა?

— ეს ჩვეულებრივი საფეხბურთო ეპიზოდი იყო. მიმაჩნია, რომ მსაჯებს დიდი შეცდომები არ დაუშვიათ. ჩვენ თუ ვინმესთან საპრეტენზიო გვაქვს, ეს მთლიანად გუნდია. ფეხბურთელებს კრაკოვშიც ვაფრთხილებდი და თბილისშიც რამდენჯერმე ვუთხარი, „დინამოს“ შეუფასებლობა დაგვღუპავს-მეთქი. სამწუხაროდ, სწორედ ასე მოხდა. თბილისში „ვისლამ“ პირველ მატჩზე უკეთ კი ითამაშა, მაგრამ „დინამოს“ დასამარცხებლად ეს საკმარისი არ გამოდგა.

— „დინამოდან“ ვის გამოარჩევდით?

— ვინც ითამაშა ყველა ფეხბურთელს. თუმც „დინამოს“, კრაკოვშიც დავრწმუნდი, ერთი უმაღლესი დონის ფეხბურთელი ჰყავს — კაპიტანი ნემსაძე. დღეს თამაში, ფაქტობრივად, მან მოიგო. ის დიდი ოსტატია.

— თქვენი გუნდიდან ვინ იყო საუკეთესო?

— უხერხული კითხვაა.

— მაინც?

— ალბათ, ისევ ჟურავსკი. მეთანხმებით?

— შიმკოვიაკსაც არა უშავდა.

— მას უკეთ თამაშიც შეუძლია.

— გავიგეთ, რომ ამ წაგების შემდეგ, შესაძლოა, მწვრთნელი კასპერჩაკი დაითხოვოთ. მართალია?

— ახლა ვერ გიპასუხებთ, შესაძლოა ასეც მოხდეს. ყოველ შემთხვევაში, ამ საკითხს მხოლოდ მე ვერ გადავწყვეტ. კლუბს პატრონი ჰყავს, დავბრუნდებით კრაკოვში და ვნახოთ.

— პატრონს თქვენ რას ეტყვით?

— რაც დღეს მოხდა იმას ვეტყვი.

— და დღეს რა მოხდა?

— „ვისლამ“ საშინლად ითამაშა. ჩვენი დონის გუნდს ასე თამაშის უფლება არ აქვს. ჩვენი მიზანი ჯერ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა იყო, მაგრამ „რეალს“ გადავეყარეთ და ჩავთვალეთ, რომ ლიგა უნდა დაგვევიწყებინა. მერე უეფას თასი იყო, ჯგუფში თამაში და ნახევარფინალამდე გასვლა დავგეგმეთ. ხედავთ, რაც გამოგვივიდა... მაპატიეთ, აეროპორტში ვჩქარობთ... „დინამოს“ დამსახურებულ მოგებას ვულოცავ.

**კობა ინასარიძე**



ახალშემოსულმა ახალაიამ „დინამოს“ პენალტი მოუტანა




*მიხეილ კაკალაძე:* მთელი საქართველო გახარებულია და ძალიან ბედნიერი ვარ. ჩვენ შევძელით ქართველი ხალხის გახარება. ეს ძალიან ძნელი იყო, მაგრამ მთავარი ისაა, რომ შევძელით. მგონი, დაბრუნდა ფეხბურთი საქართველოში, არა?!

*ლევან მელქაძე:* მთელ ქვეყანას ვულოცავ ამ მოგებას. გულშემატკივრებიც ძალიან დაგვეხმარნენ და ამისთვის მათი მადლობელი ვარ. ასეთი მხარდაჭერა ჯერ არ მახსოვს. ისე, მგონი ურიგოდ ჩვენც არ გვითამაშია. ახლა კენჭისყრას დაველოდებით და მერე ვიფიქრებთ ჯგუფურ ეტაპზე.

*კახა ალადაშვილი:* ყველამ მაგრად გავიხარეთ. ძალიან ძნელი თამაში იყო, მაგრამ „დინამომ“ შეძლო ამ ბარიერის გადალახვა და ამით მთელი საქართველო გავახარეთ. გოლი რომ გავუშვით, უკვე აღარაფერზე ვფიქრობდით კარის შენახვის გარდა. საბედნიეროდ, ეს შევძელით და უეფას თასზე ბრძოლას ვაგრძელებთ. ხალხს, რა თქმა უნდა, დიდი მადლობა.

*გიორგი ნემსაძე:* ვიცოდი, რომ თამაში ისე არ წაგვივიდოდა, როგორც ქომაგი ისურვებდა. წინათგრძნობა მქონდა, რომ თავიდან გაგვიჭირდებოდა. საბოლოო ჯამშიც შეიძლება სანახაობრივი ფეხბურთი ვერ ვითამაშეთ, მაგრამ ამისთვის გულშემატკივრებს ბოდიშს ვუხდი. მთავარია, სასურველ შედეგს მივაღწიეთ. მომავალში კი ვეცდებით უკეთესი ფეხბურთიც ვითამაშოთ.

*დავით პეტრიაშვილი, „დინამოს“ მმართველი დირექტორი:* ხომ ვამბობდი, „დინამო“ გაფრინდება-მეთქი. ახლა კი აღარ უნდა გავჩერდეთ და ისევ წინსვლაზე ვიფიქროთ. ძალიან ბედნიერი ვარ და სიხარულის გადმოსაცემად სიტყვებს ვერ ვპოულობ.

**კახა შალამბერიძე**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
ულოცავს თბილისის „დინამოს“ იმ დიდ და ნანატრ
წარმატებას, რომელმაც ასე გაახარა მთელი საქართველო!
კიდევ ბევრი სიხარული
დი-ნა-მო!

# დიდი ნაბიჯი მოედნიდან






ვისლა — დინამო


დინამო — სლავია


სლავია დინამო


დინამო — ბატე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დინამო გავიდა

„დინამო" გავიდა!!! გუშინ უეფას თასის ჯგუფებში სულ ორმოცი გუნდი გავიდა და დღეს ევროპის ასეულობით გაზეთში დაიწერა მათი გასვლის ამბავი და ყველამ თავისი საქომაგო გუნდის სახელის მერე მსუქანი ძახილის ნიშანიც დაწერა.

არადა, თუ დაკვირვებიხართ, ქართველებს რა იშვიათად გვინევს ძახილის ნიშნის ხმარება სიხარულის აღსანიშნად და რახან მართლა სასიხარულო ამბები იშვიათად ხდება, ხანდახან უბრალო ამბებსაც დიდ ძახილის ნიშანს მოვაყოლებთ-ხოლმე.

ძალიან კარგია, რომ დღეს ალალად შეგვიძლია ამ ძახილის ნიშნის დასმა ისე, რომ გული არ გვეთანაღრებოდეს, ზედმეტი ხომ არ მოგვდისო.

ევროპაში ისეთი გუნდებიც არიან, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში მოხვედრას ჩვეულებრივ ამბად რომ თვლიან, მაგრამ მათი საქმე სხვაგვარადაა. მათთვის ჯგუფში მოხვედრა ჩვეულებრივი ამბავია, ვერმოხვედრა — უჩვეულო, ჩვენთვის კი პირიქითაა. „დინამოსგან" „ვისლას" ძლევა არ ნიშნავს მხოლოდ ერთი მატჩის მოგებას, უფრო დიდი რამ მოხდა.

გავიხსენოთ, რამდენჯერ მოგვისმენია, ჩვენ ისინი როგორ უნდა დავამარცხოთ, სად მათი ჩემპიონატების დონე, მოედნები, საფეხბურთო მეურნეობა და სად ჩვენიო. ახლა ამ მოსაზრებას თამამად შეგვიძლია შევეწინააღმდეგოთ და „დინამოსკენ" მივუთითოთ. ადრეც მიგვითითებია, როცა, ვთქვათ, ვენესუელა ამარცხებდა ბრაზილიას, ან ლატვია თურქეთს, მაგრამ საკუთარ მაგალითს მაინც სულ სხვა ძალა აქვს.

ან ის რად ღირს, რომ მთელი შემოდგომა საკუთარი გუნდის ქომაგობის საშუალება გვეძლევა. ეგეც ხომ გახსოვთ, როგორც იყო: სხვის გუნდებში გაბნეულ ქართველ ფეხბურთელებს რომ ვქომაგობდით. ვინ დაგვიშალა, ახლაც ვუქომაგოთ, მაგრამ შენი გუნდის ქომაგობას სულ სხვა ფასი და გემო აქვს. აქ სიხარულიც და ტკივილიც ბევრად უფრო ალალია. არ შეიძლება, გულშემატკივარმა მუდამ სხვისი სიხარულით და ტკივილით იცხოვროს, ერთიც და მეორეც საკუთარი უნდა ჰქონდეს.

ერთი ასეთი ამბავიც მახსენდება. ოთხი წლის წინ, ბელგია-ჰოლანდიის ევროპის ჩემპიონატის დროს, ყოველდღიურად ვკითხულობდი ინგლისური გაზეთების ინტერნეტვერსიებს. წალეკილი იყო საფეხბურთო სტატიებით. ოღონდ სანამ ინგლისის ნაკრები გავარდებოდა. როცა გავარდა, მერე სტატისტიკური მონაცემების დაბეჭდვით კმაყოფილდებოდნენ. ალბათ არც ასეთი უკიდურესობა ვარგა, მაგრამ აქ მთავარი სხვა რამაა — ინგლისელი ქომაგობს მხოლოდ ინგლისელს და არავის სხვას. ასეა ესპანეთში, იტალიაში, ბევრგან სხვაგან.

ეს სავსებით გასაგებია — როცა შენი გუნდი თუ გუნდები გყავს დიდ შეჯიბრებებში, სხვათა ქომაგობა უბრალოდ აზრს კარგავს. ეს ჩვენთან არის, რომ ვქომაგობთ სხვებს, რადგან გვიყვარს ფეხბურთი და როცა გიყვარს, აუცილებლად უქომაგებ ვინმეს. პირველ რიგში შენიანს და თუ შენიანი არ თამაშობს, იძულებული ხარ მოძებნო გუნდი, რომელიც შენს გემოვნებას სხვებზე მეტად აკმაყოფილებს.

შენი გუნდის ქომაგობა კი უფრო გულიდან მოდის. არა მგონია, რომ „დინამოს" გუშინდელმა თამაშმა ყველა აღაფრთოვანა. გულახდილად რომ ვთქვა, ბოლოსკენ, როცა დინამოელებმა შეცდომებს უმატეს და დაბნეულები ჩანდნენ, გულში რამდენჯერმე გავიფიქრე ცუდი რამეები. ალბათ, თქვენც. მაგრამ გამარჯვების სიხარული ყველაფერს ფარავს. აღარ აქვს მნიშვნელობა, როგორ ითამაშა ერთი ხანობა შენმა გუნდმა, მთავარია, რომ მოიგო. თანახმა ვარ, ნუ იქნება თვალწარმტაცი სანახაობა, ოღონდ იყოს შედეგი, ტაბლოზე ეწეროს ის, რისი ნახვაც მინდა. ალბათ, ასეთ განწყობასაც არ ეყოლება ბევრი მოწინააღმდეგე.

ისეც არ მინდა გამოვიდეს, თითქოს „ვისლას" დამარცხებით „დინამომ" უკვე თასი აიღო. თასამდე ბევრად უფრო გრძელი გზაა, ვიდრე 81-ში იყო. მაგრამ ამ მოგებით გაჩნდა იმედი, რომელიც უკვე ბევრი წელია, გულშემატკივარს აღარ ჰქონია. გუშინ თამაშის დამთავრებიდან ერთ საათში გულშემატკივრის წერილი მივიღეთ ელექტრონული ფოსტით. გვწერს, მერვედფინალში გასვლაც არ მეჩვენება არარეალურადო. ესეც უამრავი ადამიანის საერთო აზრია და მასში მთავარი გამოვარჩიოთ: გულშემატკივარს გაუჩნდა რწმენა. ვფიქრობ, ფეხბურთელებსაც მოემატათ რწმენა და წარმატების მისაღწევად ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია.

შარშან, როცა „დინამო" ტირანაში დამარცხდა, ხალხი გვირეკავდა და... არ გავიხსენებ, რას ამბობდა. ერთმა ხნიერმა კაცმაც დარეკა, ანგარიში აინტერესებდა და როცა ვუთხარით, სულ სხვანაირი რეაქცია ჰქონდა ვიდრე ველოდით — არ აღშფოთებულა, ნაღვლიანად ჩაილაპარაკა, ეგრეც ვფიქრობდიო. იმ კაცს არ ჰქონდა იმედი, სახლში სამი ბურთით მოგებული თამაშის მერეც კი.

ახლა ეს იმედი ჩანს. არა მხოლოდ „დინამოსთან" მიმართებაში. ოლიმპიური ოქროები, საქართველოს ნაკრების შედეგიანი თამაში, ახლა „დინამოც". ოღონდ უნდა გვახსოვდეს, რომ ნაკრებისა და „დინამოს" მოგებულმა თამაშებმა ჯერ მხოლოდ იმედი ჩაგვისახა, რომ ქართულ ფეხბურთს საშველი დაადგება. ჭაობში ჩავარდნილი ქართული ფეხბურთი ჯერ მხოლოდ ნაპირს ჩაებღაუჭა. ამობობღდება? აკი, ვთქვით, რომ იმედი გაგვიჩნდა.

ირაკლი ნინიძე



# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. II ტური

## E ჯგუფი

# შუმი შემოდგომის წიწილებს ელოდება



REUTERS

ფრედი ლიუნგბერგის ამ დარტყმას გოლი მოჰყვა

**რუსენბორგი 1:1 არსენალი**
0:1 ლიუნგბერგი (6), 1:1 სტრანდი (52)
**რუსენბორგი:** ე. იონსენი, ჰოფტუნი, ვინსნესი, ბასმა (რასელი 74), სტრანდი (ჯორჯი 64), ფ. იონსენი, რისეტი, სოლი, სტორფლორი, ბრატბაკი (ბრაატენი 82), დორსინი
მწვრთნელი: ოლა-ბი რისე
**არსენალი:** ლემანი, ლორენი, კემპბელი, ტურე, ე. კოული, ლიუნგბერგი, ვიეირა, ედუ, პირესი (ვან პერსი 82), ანრი, რეიესი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
მსაჯი: ფლორიან მეიერი (გერმანია)
21 000 მაყურებელი

არსენ ვენგერი და ფრედერიკ ლიუნგბერგი ტრონჰეიმული ფრით უკმაყოფილონი დარჩნენ. „გოლი რომ გავიტანე, კარგია, მაგრამ საბოლოოდ ვერ მოვიგეთ, რამაც ძალიან დამწყვიტა გული, რამდენიმე ნაღდი საგოლე მომენტი გავაცუდეთ, არადა, ურიგოდ არ გვითამაშია და გამარჯვება შეგვეძლო“ — თქვა შვედმა. „ფრე აშკარად არ მესიამოვნა, რადგან სამ ქულას ვგეგმავდი“ — აღნიშნა ვენგერმა, ხოლო „რუსენბორგის“ თავკაცი ოლა-ბი რისე გახარებული იყო: „ჯგუფის უძლიერეს გუნდს ვეთამაშეთ და ქულა ავიღეთ. ეს ძალიან სასიამოვნო შედეგია“.

„მეთოფეებს“ ტრავმირებული ჟილბერტო არ ჰყავდათ, სამაგიეროდ, ედუ დაბრუნდა და სოლ კემპბელმაც ძირითად შემადგენლობაში ითამაშა. ანგარიში ლიუნგბერგმა გახსნა. კუთხურიდან ანრის ჩაწოდებულ ბურთს შვედი საჯარიმოში დაუხვდა და „არსენალი“ დაწინაურდა. პირველ ტაიმში სტუმართაგან ტიერი ანრი გამოირჩეოდა და „მეთოფეები“ მისით აწუხებდნენ მეტოქეს, შესვენების შემდეგ კი „რუსენბორგი“ გააქტიურდა და მალე გაათანაბრა კიდეც. მოხდენილი კომბინაცია სტრანდმა უძლიერესი, ზუსტი დარტყმით დაასრულა. ამის მერე „არსენალმა“ მოუმატა სიჩქარეებს და ბურთი მასპინძელთა კართან სახიფათოდ აგორა. ანრის და ლიუნგბერგს თითოთითო კარგი საგოლე მომენტი ჰქონდათ. „ვიკინგებს“ დაცვაში აშკარად გაუჭირდათ, მწვრთნელმა კი სტრანდის ნაცვლად კრისტერ ჯორჯი შეუშვა და იგი თანაგუნდელებს „მეთოფეთა“ შეტევების განელებაში შეეშველა. შეხვედრის მიწურულს ორივე გუნდს შეეძლო დაწინაურება. პატრიკ ვიეირას დარტყმული ბურთი დორსინმა კარის ხაზიდან გამოაძრო, მასპინძელმა ვინსენმა კი საჯარიმო შეასრულა სახიფათოდ.

**პსვ ეინდჰოვენი 1:0 პანათინაიკოსი**
1:0 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (80)
**პსვ ეინდჰოვენი:** გომესი, ლუსიუსი, ალექსი, ბუმა, ი. ლი, პარკი (ფოგელი 89), ვან ბომელი, კოკუ, ფარფანი (სიბონი 63), ვენეგოორ ოფ ჰესელინკი, ჯ. დე იონგი
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი
**პანათინაიკოსი:** ხალკიასი, ვინტრა (საპანისი 84), გუმასი, კირიაკოსი, მიუნხი, ბასინასი, ანდრიჩი, სკაჩელი (ეპალე 59), ე. გონსალესი, პაპადოპულოსი (მორისი 71), კონსტანტინუ
მწვრთნელი: იცხაკ შუმი
გაფრთხილება: დე იონგი, კონსტანტინუ, ბასინასი
მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)
26 500 მაყურებელი

ეინდჰოვენში პსვ-ს იან ვენეგოორ ოფ ჰესელნკის თავურმა დარტყმამ მოაგებინა. ოფ ჰესელინკმა შეხვედრის დასრულებამდე ათი წუთით ადრე კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს საგოლედ უთავაზა და მთელი მატჩის განმავლობაში დაცვით გართულ „პანათინაიკოსს“ სამი ქულა დაატოვებინა.

„ჩვენ გამარჯვება დავიმსახურეთ და [illegible] გვმართებდა“ — განაცხადა დამხვდურთა თავკაცმა გუს ჰიდინკმა, ხოლო სტუმართა მწვრთნელმა იცხაკ შუმმა თქვა: „პსვ-მ გვაჯობა, მაგრამ ჯგუფიდან გასვლის შანსი ყველას თანაბარი აქვს. ვფიქრობ, მერვედფინალისტები ბოლო ტურში გაიკვევა“.

ჰოლანდიელები თამაშის დაწყებისთანავე მიაწყდნენ „პანათინაიკოსის“ საჯარიმოს. მეათე წუთზე ჯეფერსონ ფარფანმა საჯარიმო შეასრულა. ბერძენთა მეკარემ ბურთი კარის კუთხიდან გამოაძრო, ოფ ჰესელინკმა კი დამატებაზე ვერ მიუსწრო. სტუმრები პირველ ტაიმში მხოლოდ ერთხელ გამოჩნდნენ მოწინააღმდეგის კარის სიახლოვეს. მიხალის კონსტანტინუ ვილფრედ ბოუმას გაექცა, საჯარიმოში შევარდა, მაგრამ ბურთი ხელით გაისწორა და მსაჯმა შეტევა ჩაშალა.

მეორე ნახევარი პსვ-მ ბერძენთა წილ მოედანზე გაატარა, იცხაკ შუმმა კი ფრის შენარჩუნება მოისურვა და ფორვარდ პაპადოპულოსის ნაცვლად მცველი მორისი შეუშვა, მაგრამ დაცვაში თამაშით გადაღლილ „პანათინაიკოსს“ ამანაც ვერ უშველა. ვენეგოორ ოფ ჰესელინკის უმძლავრეს თავურ დარტყმას კოსტას ხალკიასმა მხოლოდ თვალი გააყოლა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| პსვ ეინდჰოვენი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| პანათინაიკოსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| რუსენბორგი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |

**III ტური, 20 ოქტომბერი**
რუსენბორგი — პსვ ეინდჰოვენი
პანათინაიკოსი — არსენალი

## F ჯგუფი

# მიდი, პიპო, გაიტანე!



REUTERS

ფილიპო ინძაგიმ გოლის გემო გაიხსენა

**მილანი 3:1 სელტიკი**
1:0 შევჩენკო (8), 1:1 ვარგა (75), 2:1 ინძაგი (89), 3:1 პირლო (90)
**მილანი:** დიდა, კაფუ, ნესტა, მალდინი, პანკარო, გატუზო (რუი კოშტა 86), პირლო, ზეედორფი (ამბროზინი 77), კაკა, შევჩენკო, ტომასონი (ინძაგი 77)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
**სელტიკი:** მარშალი, აგატი, ბალდე, ვარგა, ვალგაერენი, ლენონი, პეტროვი, სატონი, ა. ტომპსონი (ჟუნინიო პაულისტა 59), ჰართსონი (სილა 86), ა. კამარა
მწვრთნელი: მარტინ ონილი
გაფრთხილება: სატონი
მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)
52 648 მაყურებელი

**ექვსთვიანი** იძულებითი შესვენების შემდეგ ფილიპო ინძაგი კარლო ანჩელოტიმ 77-ე წუთზე შეუშვა მინდორზე იონ დალ ტომასონის ნაცვლად და პიპომაც მატჩის მიწურულს ის გოლი გაიტანა, რომელიც არანორმალური სიხარულით აღნიშნა: „უაღრესად ბედნიერი ვარ, ფეხბურთს მონატრებული გიჟივით ჩავერთე თამაშში და, მადლობა ღმერთს, დამიფასდა, „სელტიკს“ გამტეხი გოლი შევუგდე“ — თქვა ნამატჩევს ინძაგიმ.

მატჩის დებიუტშივე კი ანდრეი შევჩენკომ გაიტანა მორიგი გოლი. იუბილარმა შევამ თავის 28-ე დაბადების დღეზე ჩინებული საჩუქარი უძღვნა საკუთარ თავს და „მილანის“ პრეზიდენტ სილვიო ბერლუსკონის.

ვინც ეს მატჩი ნახა, თავად დარწმუნდებოდა, რომ გუნდებმა ორი სავსებით განსხვავებული ტაიმი ითამაშეს. პირველში იტალიის ჩემპიონი მძლავრობდა, მეორეში შოტლანდიისა, რისი დასტურიც „სელტიკის“ სლოვაკი ლეგიონერის, სტანისლავ ვარგას უმძლავრესი თავურით დიდას კარში შეგდებული ბურთი იყო.

„ორი წუთიც რომ გაგვეძლო... — დაიწყო პრესკონფერენციაზე გლაზგოელთა თავკაცმა მარტინ ონილმა — მადლობა ბიჭებს, ჩინებულად ითამაშეს. მადლობა ჩვენს ფანებს მხარდაჭერისთვის. „მილანს“ ტოლი არაფერში დავუდეთ. იტალიელებმა სწორედ იმ გამოცდილებით გვაჯობეს, რაც ასე გვაკლია ევროპულ სარბიელზე. თუმც ერთსაც ვიტყვი, დაკარგული არაფერია და „სელტიკი“ ასე იოლად ჩამოსაწერი გუნდი არ არის. ახლა „შახტართან“ ექვსი ქულა უნდა ავიღოთ“.

კარლო ანჩელოტიმ ინძაგი შეაქო: „შეცვლაზე რომ ვუშვებდი, მისთვის არაფერი მითქვამს, თავადაც მშვენივრად იცოდა, რაც უნდა ექეთებინა. ისეთი თვალებით შევარდა მინდორზე, დარწმუნებული ვიყავი, გოლს აუცილებლად შეაგდებდა“.

და იუბილარი? ანდრეი შევჩენკომ უკლებლივ ყველა თანაგუნდელი და მწვრთნელები გამარჯვებისა და დაბადების დღის აღსანიშნავად რესტორანში დაპატიჟა. ცხადია, წვეულებაზე სილვიო ბერლუსკონიც იყო.

**ბარსელონა 3:0 შახტარი**
1:0 დეკო (15), 2:0 რონალდინიო (64პ), 3:0 ეტოო (89)
**ბარსელონა:** ვ. ვალდესი, ბელეტი, პუიოლი, ოლეგერი (ფ. ნავარო 90), ვან ბრონკჰორსტი, ხავი, ედმილსონი, დეკო (ინიესტა 83), ჟიული (ლარსონი 76), რონალდინიო, ეტოო
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
**შახტარი:** ლაშტუვკა, ბარკაუანი, სტოიკანი, ლევანდოვსკი, რაცი, ტიმოშჩუკი, დულიაი, მატუზალემი, ვუკიჩი (ბახარევი 76), ბრანდაუ (ვორობეი 46), მარიკა
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
გაფრთხილება: ლევანდოვსკი, ვან ბრონკჰორსტი
მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)
75 000 მაყურებელი

**რომ** არა დონეცკელთა ჩეხი მეკარე იან ლაშტუვკა, ვინ იცის, მატჩი რა ანგარიშით დამთავრდებოდა. თუმც ისე ნუ გაიგებთ, რომ უკრაინული გუნდი მთელი შეხვედრა საკუთარ კარს იყო მიჯაჭვული. ჩინებული საგოლე მომენტები მათაც ჰქონდათ, მაგრამ აქ უკვე „ბარსას“ გოლკიპერი ვიქტორ ვალდესი ყოჩაღობდა.

ერთი სიტყვით, მომენტებით დახუნძლულ მატჩში „კამპ ნოუზე“ მისულმა 75 ათასმა ქომაგმა მხოლოდ სამი გოლი ნახა და ისიც, თავისიანთა შესრულებით.

მე-15 წუთზე პორტუგალიელმა დეკომ სამსვლიანი კომბინაციის შემდეგ გაუტანა ლაშტუვკას შორეულ კუთხეში.

მერე იყო რონალდინიოს ბრწყინვალე რეიდი, რომელიც სტუმართა მეკარემ აკრძალული ხერხით შეაჩერა: პენალტი რონალდინიომ შეაგდო.

მესამე გოლი კი მთლიანად ახალგაზრდა ანდრეს ინიესტას „სინდისზეა“, ბრწყინვალე ცრუმოძრაობებით რომ ჩაუცეკვა „შახტარის“ მცველებს და კარის წინ მარტოდ დარჩენილ სამუელ ეტოოს გაატანინა.

„ბიჭებმა ჩემი დავალება ხუთიანზე შეასრულეს. მრავალჯერ ვნახეთ „შახტარის“ „მილანთან“ თამაშის ვიდეოფირი. ყურადღება მივაქციეთ იმას, რომ ათი კაცით დარჩენილმა გუნდმა არაფერი დაუთმო იტალიელებს. დავრწმუნდით, რომ უკრაინელებს კარგი გუნდი ჰყავთ და ჩემებსაც არ უყოყმანიათ. ამ მატჩში ეს იყო მთავარი — თვითდაჯერებულობა დაგვეუფლა“ — თქვა ფრანკ რაიკარდმა, „ბარსელონას“ მწვრთნელმა.

**გიორგი ვაჟაპიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| მილანი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| სელტიკი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |
| შახტარი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

**III ტური, 20 ოქტომბერი**
მილანი — ბარსელონა
შახტარი — სელტიკი

## G ჯგუფი


REUTERS ბრიუსელიდან

ობაფემი მარტინსი

# ვერდერი გესტაპოს გამქცა

**ვერდერი 2:1 ვალენსია**

0:1 ვისენტე (2), 1:1 კლოზე (60), 2:1 ხარისტიასი (84)
**ვერდერი:** რაინკე, სტალტერი, შულცი (ხარისტიასი 61), ფარენჰორსტი, მანინი, ბოროვსკი, ერნსტი, მიკუ, კლოზე, ნ. ვალდესი, კლასნიჩი
მწვრთნელი: თომას შაფი
**ვალენსია:** კანისარესი, კურო ტორესი, დ. ნავარო, მარჩენა, კარბონი, ანგულო, ალბელდა, ბარახა (სისოკო 74), ვისენტე (მორეტი 80), კორადი, დი ვაიო (პელეგრინო 57)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: კლოზე, მარჩენა, ბარახა, ანგულო, მიკუ, კლასნიჩი, მარჩენა, სტალტერი, ალბელდა
გაძევება: მარჩენა (55)
მსაჯი: მაიკ რაილი (ინგლისი)
43 000 მაყურებელი

როცა თამაშის მეორე წუთზე ვისენტემ ბრემენელებს გოლი გაუტანა, ალბათ ბევრმა „ვალენსიას" იოლი გამარჯვება ივარაუდა. თანაც თომას შაფს ძირითადი შემადგენლობის სამი ფეხბურთელიც აკლდა — ვალერიან ისმაელი დისკვალიფიკაციას იხდიდა, კაპიტანი ფრანკ ბაუმანი და ფინელი მცველი პეტრი პასანენი კი ტრავმებს იმუშუბდნენ. თუმცა სიზუსტისთვის ისიც ვთქვათ, რომ „ვალენსიასაც" აკლდა რამდენიმე ფეხბურთელი — რობერტო აიალა, პაბლო აიმარი და მიგელ მისტა.

მეორე წუთზეო, ვთქვით და უფრო ზუსტნი რომ ვიყოთ, ვისენტემ გოლი 90-ე წამზე გაიტანა. ლიგის დებიუტანტი, 22 წლის კრისტიან შულცი შეცდა, რამაც ვისენტეს მეკარესთან პირისპირ გასვლის საშუალება მისცა და ბურთი ზემოდან გადაუგდო.

სწრაფი გოლით გახალისებული ესპანელები ინიციატივას ხელიდან არ უშვებდნენ, ბრემენელთა იერიშებს კი მშვიდად უმკლავდებოდნენ.

„ვალენსიას" შესვენებამდე კიდევ უნდა გაეტანა, ბერნარდო კორადის, მიგელ ანგულოს თუ მარკო დი ვაიოს ძალიან კარგი მომენტები ჰქონდათ და „ვეზერშტადიონმა" რამდენჯერმე შვებითაც ამოისუნთქა.

მეორე ტაიმში ვითარება მკვეთრად შეიცვალა. მასპინძელი ფეხბურთელები მოედანზე ისე გავიდნენ, თითქოს წაგების შემთხვევაში გესტაპოს სარდაფებში დამწყვდევით დამუქრებოდნენო.

„ვერდერის" რამდენიმე სახიფათო იერიშის მერე კარლოს მარჩენას მეორე ყვითელი ბარათი აუფრიალეს და გასახდელში გაისტუმრეს, რამაც „ვერდერის" წისქვილზე წყალი უფრო დიდი ჭავლით დაასხა. თანაც ამ გაძევების მერე კლაუდიო რანიერიმ მარკო დი ვაიო მცველით, მაურისიო პელეგრინოთი შეცვალა, რამაც სტუმართა იერიშები უხიფათო გახადა.

თამაშის დაწყებიდან ერთი საათის თავზე „ვერდერმა" ანგარიში გაათანაბრა: კლასნიჩის ჩაწოდებული ბურთი მიროსლავ კლოზემ კარში შეაგდო.

მასპინძლებმა გამარჯვების სუნი იყნოსეს და შაფმაც არ დააყოვნა — შულცის ნაცვლად მეოთხე ფორვარდი, ხარისტიასი გაიყვანა. შედეგად, „ვერდერმა" სამი ქულა მოიპოვა.

**ანდერლეხტი 1:3 ინტერი**

0:1 მარტინსი (9), 0:2 ადრიანო (51), 0:3 სტანკოვიჩი (55), 1:3 ბასეჯიო (90)
**ანდერლეხტი:** პეერსმანი, ვანდენ ბორე, კომპანი, ლ. ტრაორე, დეშახტი, მპენზა, ჰასი (ბასეჯიო 63), ზეტერბერგი, ვილჰელმსონი, დინდანე, იესტროვიჩი (იაშჩუკი 70)
მწვრთნელი: უგო ბროოსი
**ინტერი:** ტოლდო, ზე მარია, კორდობა, ბურდისო, ფავალი (ხ. ძანეტი 51), სტანკოვიჩი (დავიდსი 68), ვერონი, კამბიასო, ემრე, ადრიანო (ხ. კრუზი 67), მარტინსი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: ტრაორე, ჰასი, ვერონი, მარტინსი
მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)
25 000 მაყურებელი

„ინტერმა" ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერობა ჩაიგდო ხელში.

რობერტო მანჩინიმ სასტარტო შემადგენლობაში ათამაშა ნიგერიელი „სუპერსათადარიგო" ობაფემი მარტინსი, ვინაც არათუ გოლი გაიტანა, საერთოდაც ეჭვი გააჩინა — ვინ უფრო იმსახურებს ძირითადის ფეხბურთელობას, ის თუ კრისტიან ვიერი.

მეცხრე წუთზე ადრიანო მარცხენა ფლანგზე გაიჭრა, კარის გასწვრივ ჩააწოდა და მარტინსმა ბოლო ოთხ დღეში თავისი მესამე გოლი გაიტანა.

„ინტერის" სისწრაფე და სიმძლავრე „ანდერლეხტისთვის" დაუძლეველი ბარიერი გამოდგა და მეტოქის კარს გასაღები ვერაფრით მოარგო, თუმცა ორიოდე გამოსარჩევი ეპიზოდი ტოლდოს კართან მაინც შეიქმნა. ერთხელ მეკარემ იყოჩაღა, მოგვიანებით კი ბურთი მცველმა გამოიტანა ხაზიდან.

მატჩის ინტრიგა საბოლოოდ ადრიანომ მოკლა, როცა 52-ეზე ყველაზე მაღლა ახტა და კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი საჭირო მიმართულებით გაგზავნა.

ინტრიგა კი მოკვდა, მაგრამ „ინტერს" კიდევ ერთი გოლის გატანის ჟინი არ განელებია. ვერონმა ადრიანო მეკარეს პირისპირ შეატოვა, მაგრამ მილანელთა იმედმა ამ ჯერზე ვერ გაიტანა. მესამე გოლი კი დეიან სტანკოვიჩმა მიითვალა.

რა დარჩენოდა „ანდერლეხტს"? ეგრეთ წოდებული პრესტიჟის გოლის გატანა, თუკი ამით პრესტიჟის გადარჩენა შეიძლება. ერთხელ ძელისთვის გარტყმის მერე ბელგიელებმა ეს მოახერხეს.

**ბოტე ბებელია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ვერდერი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ვალენსია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ანდერლეხტი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

III ტური, 20 ოქტომბერი
ანდერლეხტი — ვერდერი
ვალენსია — ინტერი

## H ჯგუფი

# მაურინიუმ წარსულს მოუგო

**ცსკა 2:0 პსჟ**

1:0 სემაკი (64), 2:0 ვაგნერი (77პ)
**ცსკა:** აკინფეევი, შემბერასი, იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცკი, რ. გუსევი (კირიჩენკო 69), ალდონინი, ჟირკოვი, რახიმიჩი, იაროშიკი, ოლიჩი (სემაკი 57), ვაგნერი (ვ. ბერეზუცკი 89)
მწვრთნელი: ვალერი გაზაევი
**პსჟ:** ლეტიზი, მენდი, პიერ-ფანფანი, ელდერი, არმანი, ბადიანი, ე. სისე (მბამი 23), ჩანა, კორიდონი (პანკრატი 74), პაულეტა, ლიუბოია (რეინალდო 80)
მწვრთნელი: ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი
გაფრთხილება: მენდი, რახიმიჩი, ბადიანი
მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)
28 000 მაყურებელი

ცსკა-მ „პარი სენ ჟერმენს" იმიტომ მოუგო, რომ 57-ე წუთზე დაშავებული თავდამსხმელი ივიცა ოლიჩი სერგეი სემაკმა შეცვალა. მანამდე რუსთა ჯარის გუნდი უფანტაზიოდ იყო, ხოლო სემაკის გამოჩენის შემდეგ 20 წუთში ორი გადამწყვეტი რამ მოხდა: ახალშესულმა თავად გაიტანა და პენალტი მოიპოვა, რომელიც ვაგნერმა გაიტანა.

ცსკა-ს მწვრთნელი ვალერი გაზაევი: „თამაშის რომელიღაც მომენტში სემაკის მოედანზე შეშვებით ჩვენი თავდასხმის გაძლიერებას ისედაც ვაპირებდი. ვხედავდი, რომ პირველ ტაიმში ოლიჩი ძალიან აქტიური იყო, ვაგნერი ლოვე კი ნაკლებად, მაგრამ მერე მოხდა უცნაური რამ: ოლიჩი დაშავდა, ჩვენ იგი სემაკით შევცვალეთ და ამის გამო დარჩენილ დროში ვაგნერ ლოვეც გააქტიურდა. რაც შეეხება პენალტს, საერთოდ, პენალტის დამრტყმელი გუნდში სამი გვყავს, მაგრამ იმ კონკრეტულ მომენტში მათგან ყველაზე მშვიდი და საკუთარ თავში დარწმუნებული ვაგნერ ლოვე იყო.

მეორე ტაიმის შესახებ ასე ვიტყოდი: შესვენების შემდეგ ჩვენი უპირატესობა იმით იყო განპირობებული, რომ მოძრაობას ვუმატეთ.

ოლიჩის ტრავმა რამდენად სერიოზულია ხვალ გეტყვით.

იმედი მაქვს, რომ გუნდი დარჩენილ მატჩებშიც შეინარჩუნებს ამ ფსიქოლოგიურ განწყობას, თავდადებასა და სისწრაფეს".

პარიზელების წაგებაზე კი რა შეიძლება ითქვას — გუნდმა ამ თამაშის წინ ჩატარებული ცხრა მატჩიდან მხოლოდ ერთი მოიგო და ჩემპიონთა ლიგაშიც ბოლო რვა თამაშიდან ასევე მხოლოდ ერთი აქვს მოგებული. გარდა ამისა, მათ თამაშს აშკარად აკლდა ნახევარმცველის ჟერომ როტენის ხელი, არ ჰყავდა ცენტრალური მცველი მარიო იეპესი და საერთოდაც, სხვა, 3-5-2 განლაგებაზე იყო გადართული.

„პარი სენ ჟერმენის" მწვრთნელი ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი: „საშინელი, კატასტროფული შედეგი გვაქვს. პირველ გოლამდე საკმაოდ კარგად ვთამაშობდით, მაგრამ გოლი გავუშვით და ჩვენი გუნდი ნაწილობრივ დაიშალა. ვცადეთ დაუყოვნებლივ გაგვეთანაბრებინა თამაში, ნაცვლად კი მეორე გავუშვით. ამის შემდეგ მოსკოველები ვითარების სრული ბატონ-პატრონები გახდნენ. ამასთან, ისეთ პრესტიჟულ ტურნირში, როგორიც ჩემპიონთა ლიგაა, გუნდი მომენტებს ქარს არ უნდა ატანდეს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ექვსი თუ შვიდი ეპიზოდი გავუშვით ხელიდან".

**ჩელსი 3:1 პორტუ**

1:0 სმერტინი (7), 2:0 დროგბა (50), 2:1 მაკკარტი (68), 3:1 ტერი (70)
**ჩელსი:** პ. ჩეხი, პ. ფერეირა, ტერი, რ. კარვალიუ, გალასი, სმერტინი, ლამპარდი, მაკელელე, დაფი (ტიაგუ 67), დროგბა (ჯერემი 88), გუდიონსენი (კეჟმანი 80)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
**პორტუ:** ვიტორ ბაია, ჟორჟე კოშტა, რიკარდუ კოშტა, პეპე, ბოსინგვა, კვარესმა (კარლოს ალბერტო 58), კოშტინია, მანიშე, დიეგო, ლუის ფაბიანო (მაკკარტი 58), დერლეი სილვა (პოსტიგა 81)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
გაფრთხილება: ლუის ფაბიანო, გალასი, კარვალიუ, სმერტინი, დერლეი სილვა, პეპე
მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)
39 237 მაყურებელი

მაურინიუს ახალმა გუნდმა „ჩელსიმ" გაიმარჯვა და ეს მნიშვნელოვანწილად ფრენკ ლამპარდის მოწადინების წყალობით მოხდა. სწორედ ლამპარდმა ჩააწოდა ჯონ ტერის საჯარიმოდან, ხოლო ტერიმ თავურით მესამე გოლი გაუტანა მაურინიუს ყოფილ გუნდს.

რატომ გამოვყავით მესამე გოლი ასე საგანგებოდ? იმიტომ, რომ მანამდე, [illegible] წუთით ადრე, [illegible] მაკკარტიმ ლონდონელთა ორგოლიანი უპირატესობა ერთამდე დაიყვანა და შედეგიც უფრო სათუო გახადა. ასე რომ, შეიძლება ითქვას, თამაშს წერტილი სწორედ ლონდონელების მესამე გოლმა დაუსვა.

ზემოთ კი, გოლები რომ ვახსენეთ, ასე გავიდა: ანგარიში რუსმა ალექსეი სმერტინმა ლონდონელების სწრაფი, გააზრებული კომბინაციის შემდეგ გაუჩერებელი დარტყმით გახსნა. ამ ეპიზოდში განსაკუთრებით სხარტი და ლამაზი დემიან დაფის საგოლე პასი გამოდგა.

მეორე გოლი ისევ დაფის ჩაკიდების შემდეგ დიდიე დროგბამ გაიტანა — მისი თავური ძალიან საინტერესო გამოდგა, ვინაიდან მისკენ ჩაწოდებული ბურთისკენ იგი ზურგით იდგა.

ამის მერე, როგორც მოგახსენეთ, მაკარტიმ შეაგდო: კარლოს ალბერტოს დარტყმული ტერიმ მსუბუქად აისხლიტა და ამის გამო მეკარე პეტრ ჩეხმა ბურთი ვერ დაიჭირა. დამატებაზე ყველაზე ყოჩაღი მაკკარტი გამოდგა.

ხოლო ამ გოლიდან ორწუთში ტერიმ ყველაფერს წერტილი დაუსვა.

ჟოზე მაურინიუ: „სპორტული თვალსაზრისით ექვსი ქულის მოპოვება დიდებული საქმეა. თან, ჩვენ ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული დავამარცხეთ და ჩემპიონთა ლიგის ბოლო ოთხი თამაშის შემდეგ როგორც იქნა შინაც მოვიგეთ. ასე რომ, შეიძლება ასეც ვთქვათ: დღეს ჩვენ კედლის განგრევის დღე მოგვეცა.

მეორე მხრივ, ჩემთვის სასურველი ფეხბურთიდან დღეს ძალიან შორს ვიყავით, თუმც დაცვაში მართლა ძლიერები ვართ. მინდა ბურთს მეტად ვფლობდეთ. სხვა საქმეა, რომ ჩემი გუნდი მენტალურად ძალიან ძლიერია, ჩემი ვარსკვლავები აბსოლუტურად ერთსულოვანნი არიან".

**პაპუნა ბედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| ცსკა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| პორტუ | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| პსჟ | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |

III ტური, 20 ოქტომბერი
პსჟ — პორტუ
ჩელსი — ცსკა


REUTERS ლონდონიდან

დიდიე დროგბას უცნაური თავური

# ფურთხი მოღალატეს



ჟოზე მაურინიუს შეფურთხებისთვის პასუხს „პორტუს“ მოსთხოვენ

**უეფამ** გამოძიება დანიშნა ოთხშაბათს „სტემფორდ ბრიჯზე“ მომხდარი ამბის გამო: იქ „ჩელსის“ მენეჯერ ჟოზე მაურინიუს პორტუელმა ფანმა შეაფურთხა.

მოთელვისას, მაურინიუ სტუმართა ტრიბუნასთან მივიდა და როგორც „პორტუს“ ყოფილი მწვრთნელი გულიანად მიესალმა ფანებს, რომლებიც ჯერ კიდევ გაზაფხულზე აღმერთებდნენ. ტრიბუნის უმეტესი ნაწილი მას ტაშით შეხვდა, თუმც იქიდან ფურთხიც გამოფრინდა და მწვრთნელს პიჯაკზე მიეცხო.

ეს უეფას დელეგატმა შეამჩნია და ახლა „პორტუს“ ჯარიმა ემუქრება.

თავად მაურინიუმ ამ საქმეზე გარეგნულად მაინც არ იდარდა: „ეს ცხოვრებაა. მე მესმის: ზოგს ვძულვარ, ზოგს ვუყვარვარ. ასეთი რამ ხშირად მომხდარა. სხვებმა ავტოგრაფები მთხოვეს. რას იზამ?“

# ელოდეთ ალექსის დაბრუნებას!

## მოჯიმ დელ პიერო დაიცვა




**ალესანდრო დელ პიეროს** საუკეთესო წლები გასული სულაც არ არის — თქვა „იუვენტუსის“ გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო მოჯიმ.

რატომ მოუწია იტალიური საკლუბო საფეხბურთო პოლიტიკის ერთ-ერთ წამყვან ფიგურას თავისი გუნდის ვარსკვლავის ასე დაცვა? მიზეზი მარტივი და გასაგებია: ახალი სეზონი დელ პიერომ ცუდად დაიწყო, ფორმაში არ არის და გაზეთები აკრიტიკებენ.

„თუ ალექსი დღეისთვის საუკეთესო ფორმაში არ არის, იმის ბრალია, რომ ფეხი აწუხებს — ბრძანა მოჯიმ — ამ ტრავმამდე დელ პიერო ჩინებულად თამაშობდა და გარწმუნებთ, მომავალშიც ჩინებულად ათამაშდება“.

მაგრამ ქომაგები დელ პიეროს ამბავს ასე მარტივად, მარტო ფეხისტკივილს არ უკავშირებენ. მათ ყურადღების მიღმა არ დარჩენიათ, რომ ახალმა მწვრთნელმა, ფაბიო კაპელომ რამდენიმე შემთხვევაში სასტარტო შემადგენლობაში იგი კი არა, ზლატან იბრაჰიმოვიჩი ათამაშა.

მოჯიმ ამასთან დაკავშირებით ბრძანა: „დელ პიერო იბრაჰიმოვიჩის გამო არ არის დათრგუნული. საერთოდ, ასეთი ვარსკვლავების ერთ გუნდში ყოლა, ვფიქრობთ, ყველასთვის საოცნებო იქნებოდა. ალექსი მხოლოდ ფეხბურთელი ხომ არ არის, კაციცაა და იცის რთული დროება როგორ გადაიტანოს. ეჭვი არ მეპარება, რომ დელ პიეროს მთელი სიდიადით დაბრუნება შორს არ არის“.

დელ პიერო ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში, „მაკაბისთან“ ფაბიო კაპელომ არ ათამაშა, მაგრამ, როგორც ამბობენ, ამ უქმეებზე „უდინეზესთან“ მოედანზე იქნება.

**პაპუნა ძიდია**

ლუიჯი დელ ნერიმ „რომას“ მწვრთნელის რანგში პირველი პრეს-კონფერენცია გამართა და საზოგადოებრიობა მსუბუქად ჩაახედა გეგმებში — ორი სიტყვით უამბო რას უპირებს გასაჭირსა და კრიზისში ჩავარდნილ გუნდს

# კაცი გასაღებით ხელში

## დელ ნერის ხელში კასანო დააცდება




„იმედი მაქვს, ამ ქალაქსა და გუნდს ღირსეულად ვემსახურები. მინდა ჩემდამი გამომჟღავნებული რწმენა სრულყოფილად დავაფასო და ტოლფასი პასუხი გავცე. „რომა“ დიადი კლუბია და ჩვენ იგი უმაღლეს დონეზე უნდა ვამყოფოთ, ჩვენ, მთელმა გუნდმა, ერთსულოვნად უნდა ვიმოქმედოთ“.

შეგახსენებთ, რომ დელ ნერი გასულ ზაფხულს „პორტუს“ მწვრთნელად დაინიშნა, მაგრამ იქაურობას ვერ შეეწყო და, ფაქტობრივად, დაინიშნა თუ არა გათავისუფლდა კიდეც. „რომაში“ მისვლაზე დელ ნერი ასე ბრძანებს:

| 5134 | ვერდერი-ბაიერნი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5135 | არმინია-შტუტგარტი | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 5136 | შალკე-ბოხუმი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5141 | კალიარი-ბრეშა | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,2 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5142 | კიევო-ლეჩე | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5143 | ატალანტა-ლაციო | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5144 | მესინა-სიენა | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,2 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5145 | მილანი-რეჯინა | 1,5 | 15,0 | 40,0 | 3,5 | 6,0 | 17,0 | 25,0 | 17,0 | 17,0 |
| 5146 | პალერმო-ბოლონია | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,2 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5147 | პარმა-ფიორენტინა | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,2 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5148 | სამპდორია-ლივორნო | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5149 | უდინეზე-იუვენტუსი | 6,0 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 5150 | რომა-ინტერი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5151 | ბეტისი-ვალენსია | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,0 |
| 5152 | სოსიედადი-ატლეტიკო | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5153 | ალბასეტე-ესპანიოლი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5154 | ხეტაფე-ბილბაო | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5155 | ლევანტე-მალიორკა | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5156 | მალაგა-ოსასუნა | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5157 | რასინგი-სევილია | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5158 | ვილიარეალი-სარაგოსა | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5159 | ბარსელონა-ნუმანსია | 1,45 | 15,0 | 40,0 | 3,5 | 6,0 | 18,0 | 25,0 | 17,0 | 17,0 |
| 5160 | რეალი-დეპორტივო | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 597 | ლივერპული-ნასიონალი | 3.4 | 3.2 | 1.9 | 1.64 | 1.21 | 1.19 |
| 22.30 | 599 | რენტისტასი-უონდერერსი | 2.6 | 3.2 | 2.3 | 1.43 | 1.22 | 1.33 |
| | | **იაპონია. ჯეი ლიგა** | | | | | | |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 09.00 | 553 | გამბა-ჩერეძო | 1.55 | 3.5 | 4.8 | 1.07 | 1.17 | 2.02 |
| 10.00 | 554 | ნაგოია-ტოკიო | 2.2 | 3.0 | 3.0 | 1.26 | 1.26 | 1.5 |
| 10.00 | 555 | ნიიგატა-ოიტა | 2.0 | 3.0 | 3.4 | 1.2 | 1.25 | 1.59 |
| 10.00 | 556 | ვერდი-კობე | 1.8 | 3.2 | 3.8 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 11.00 | 557 | იჩიჰარა-ურავა | 2.4 | 3.0 | 2.7 | 1.33 | 1.27 | 1.42 |
| 14.00 | 558 | ივატა-შიმიცუ | 1.85 | 3.2 | 3.6 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 10.00 | 559 | იოკოჰამა-კაშივა | 1.4 | 3.6 | 7.0 | 1.0 | 1.16 | 2.37 |
| 10.00 | 560 | კაშიმა-ჰიროსიმა | 1.7 | 3.4 | 4.2 | 1.13 | 1.21 | 1.87 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ჰოკეი. შვეიცარია** | | | | | | |
| | | **1 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.00 | 929 | ლანგნაუ-კლოტენი | 1.95 | 4.2 | 2.6 | 1.33 | 1.11 | 1.6 |
| 21.45 | 930 | ბერნი-ლუგანო | 2.0 | 4.2 | 2.6 | 1.35 | 1.14 | 1.56 |
| 21.45 | 931 | ფრიბურგი-დავოსი | 2.4 | 4.2 | 2.1 | 1.52 | 1.15 | 1.39 |
| 21.45 | 932 | რაპერსვილი-ციურიხი | 2.35 | 4.2 | 2.15 | 1.6 | [illegible] | 1.42 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.00 | 970 | ბრიუნესი-ჰვ 71 | 2.25 | 4.2 | 1.95 | 1.46 | 1.04 | 1.33 |
| 17.00 | 971 | ფერიესტადი-მოდო | 1.95 | 4.2 | 2.25 | 1.33 | 1.04 | 1.46 |
| 17.00 | 972 | სიოდერტელიე-იურგორდენი | 2.2 | 4.2 | 2.0 | 1.44 | 1.04 | 1.35 |
| 17.00 | 973 | ტიმრე-ლულეო | 1.7 | 4.4 | 2.6 | 1.22 | 1.02 | 1.63 |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.00 | 974 | ფროლუნდა-ლინჩოპინგი | 1.7 | 4.4 | 2.6 | 1.22 | 1.02 | 1.63 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5017 | საუთჰემპტონი-სიტი | 2,8 | 2,0 | 3,5 | 1,16 | 1,55 | 1,27 |
| 5018 | არსენალი-ჩარლტონი | 1,45 | 2,8 | 8,0 | 1 | 1,22 | 2,07 |
| 5019 | ბლეკბერნი-ასტონ ვილა | 2,8 | 2,0 | 3,5 | 1,16 | 1,55 | 1,27 |
| 5020 | ევერტონი-ტოტენჰემი | 2,7 | 2,0 | 3,6 | 1,14 | 1,54 | 1,28 |
| 5021 | ნორვიჩი-პორტსმუთი | 2,8 | 2,0 | 3,5 | 1,16 | 1,55 | 1,27 |
| 5022 | ვესტ ბრომვიჩი-ბოლტონი | 3,2 | 2,0 | 3,1 | 1,23 | 1,57 | 1,21 |
| 5023 | მანჩესტერი-მიდლსბრო | 1,65 | 3,5 | 6,5 | 1,12 | 1,31 | 2,27 |
| 5024 | ბირმინგემი-ნიუკასლი | 3,1 | 2,05 | 3,1 | 1,23 | 1,55 | 1,23 |
| 5025 | ჩელსი-ლივერპული | 2,2 | 2,1 | 4,8 | 1,07 | 1,5 | 1,46 |
| 5026 | კრისტალ პალასი-ფულემი | 3,1 | 2,05 | 3,1 | 1,23 | 1,55 | 1,23 |
| 5028 | ლევერკუზენი-ჰამბურგი | 1,85 | 2,25 | 6,0 | 1,01 | 1,41 | 1,63 |
| 5029 | ვოლფსბურგი-მიონხენგლადბახი | 2,1 | 2,15 | 5,0 | 1,06 | 1,47 | 1,5 |
| 5030 | ჰანსა-ჰანოვერი | 2,45 | 2,05 | 4,0 | 1,11 | 1,51 | 1,35 |
| 5031 | კაიზერსლაუტერნი-ჰერტა | 2,5 | 2,05 | 3,8 | 1,12 | 1,5 | 1,33 |
| 5032 | ფრაიბურგი-მაინცი | 2,35 | 2,05 | 4,4 | 1,09 | 1,53 | 1,39 |
| 5033 | დორტმუნდი-ნიურნბერგი | 1,85 | 2,25 | 6,0 | 1,01 | 1,41 | 1,63 |
| 5034 | ვერდერი-ბაიერნი | 3,0 | 2,05 | 3,2 | 1,21 | 1,54 | 1,24 |
| 5035 | არმინია-შტუტგარტი | 4,0 | 2,05 | 2,45 | 1,35 | 1,51 | 1,11 |
| 5036 | შალკე-ბოხუმი | 2,25 | 2,1 | 4,6 | 1,08 | 1,51 | 1,44 |
| 5041 | კალიარი-ბრეშა | 2,3 | 2,0 | 4,8 | 1,06 | 1,55 | 1,41 |
| 5042 | კიევო-ლეჩე | 2,5 | 2,0 | 4,0 | 1,11 | 1,53 | 1,33 |
| 5043 | ატალანტა-ლაციო | 3,5 | 2,0 | 2,8 | 1,27 | 1,55 | 1,16 |
| 5044 | მესინა-სიენა | 2,25 | 2,0 | 5,0 | 1,05 | 1,55 | 1,42 |
| 5045 | მილანი-რეჯინა | 1,4 | 2,8 | 8,0 | 1 | 1,19 | 2,07 |
| 5046 | პალერმო-ბოლონია | 2,25 | 2,05 | 4,8 | 1,07 | 1,53 | 1,43 |
| 5047 | პარმა-ფიორენტინა | 2,6 | 2,0 | 3,8 | 1,13 | 1,54 | 1,31 |
| 5048 | სამპდორია-ლივორნო | 1,9 | 2,2 | 5,6 | 1,01 | 1,41 | 1,57 |
| 5049 | უდინეზე-იუვენტუსი | 4,8 | 2,0 | 2,3 | 1,41 | 1,55 | 1,06 |
| 5050 | რომა-ინტერი | 3,1 | 2,0 | 3,2 | 1,21 | 1,57 | 1,23 |
| 5051 | ბეტისი-ვალენსია | 4,2 | 2,0 | 2,45 | 1,35 | 1,54 | 1,1 |
| 5052 | სოსიედადი-ატლეტიკო | 3,1 | 2,0 | 3,2 | 1,21 | 1,57 | 1,23 |
| 5053 | ალბასეტე-ესპანიოლი | 3,1 | 2,0 | 3,2 | 1,21 | 1,57 | 1,23 |
| 5054 | ხეტაფე-ბილბაო | 3,2 | 2,0 | 3,1 | 1,23 | 1,57 | 1,21 |
| 5055 | ლევანტე-მალიორკა | 2,5 | 2,0 | 4,0 | 1,11 | 1,53 | 1,33 |
| 5056 | მალაგა-ოსასუნა | 2,6 | 2,0 | 4,8 | 1,13 | 1,68 | 1,41 |
| 5057 | რასინგი-სევილია | 3,1 | 2,0 | 3,2 | 1,21 | 1,57 | 1,23 |
| 5058 | ვილიარეალი-სარაგოსა | 2,5 | 2,0 | 4,0 | 1,11 | 1,53 | 1,33 |
| 5059 | ბარსელონა-ნუმანსია | 1,35 | 3,1 | 8,5 | 1 | 1,16 | 2,27 |
| 5060 | რეალი-დეპორტივო | 1,85 | 2,25 | 6,0 | 1,01 | 1,41 | 1,63 |

# შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5517 | საუთჰემპტონი-სიტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5518 | არსენალი-ჩარლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5519 | ბლეკბერნი-ასტონ ვილა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5520 | ევერტონი-ტოტენჰემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5521 | ნორვიჩი-პორტსმუთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5522 | ვესტ ბრომვიჩი-ბოლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5523 | მანჩესტერი-მიდლსბრო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5524 | ბირმინგემი-ნიუკასლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5525 | ჩელსი-ლივერპული | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5526 | კრისტალ პალასი-ფულემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5528 | ლევერკუზენი-ჰამბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5529 | ვოლფსბურგი-მიონხენგლადბახი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5530 | ჰანსა-ჰანოვერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5531 | კაიზერსლაუტერნი-ჰერტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5532 | ფრაიბურგი-მაინცი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5533 | დორტმუნდი-ნიურნბერგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5534 | ვერდერი-ბაიერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5535 | არმინია-შტუტგარტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5536 | შალკე-ბოხუმი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5541 | კალიარი-ბრეშა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5542 | კიევო-ლეჩე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5543 | ატალანტა-ლაციო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5544 | მესინა-სიენა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5545 | მილანი-რეჯინა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5546 | პალერმო-ბოლონია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5547 | პარმა-ფიორენტინა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5548 | სამპდორია-ლივორნო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5549 | უდინეზე-იუვენტუსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5550 | რომა-ინტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5551 | ბეტისი-ვალენსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5552 | სოსიედადი-ატლეტიკო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5553 | ალბასეტე-ესპანიოლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5554 | ხეტაფე-ბილბაო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5555 | ლევანტე-მალიორკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5556 | მალაგა-ოსასუნა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5557 | რასინგი-სევილია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5558 | ვილიარეალი-სარაგოსა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5559 | ბარსელონა-ნუმანსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5560 | რეალი-დეპორტივო | 3,0 | 2,8 | 2,0 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5317 | საუთჰემპტონი-სიტი | 1,7 | 1,9 |
| 5318 | არსენალი-ჩარლტონი | 1,85 | 1,75 |
| 5319 | ბლეკბერნი-ასტონ ვილა | 1,7 | 1,9 |
| 5320 | ევერტონი-ტოტენჰემი | 1,7 | 1,9 |
| 5321 | ნორვიჩი-პორტსმუთი | 1,7 | 1,9 |
| 5322 | ვესტ ბრომვიჩი-ბოლტონი | 1,7 | 1,9 |
| 5323 | მანჩესტერი-მიდლსბრო | 1,75 | 1,85 |
| 5324 | ბირმინგემი-ნიუკასლი | 1,7 | 1,9 |
| 5325 | ჩელსი-ლივერპული | 1,7 | 1,9 |
| 5326 | კრისტალ პალასი-ფულემი | 1,7 | 1,9 |
| 5328 | ლევერკუზენი-ჰამბურგი | 1,65 | 1,95 |
| 5329 | ვოლფსბურგი-მიონხენგლადბახი | 1,65 | 1,95 |
| 5330 | ჰანსა-ჰანოვერი | 1,6 | 2,0 |
| 5331 | კაიზერსლაუტერნი-ჰერტა | 1,6 | 2,0 |
| 5332 | ფრაიბურგი-მაინცი | 1,65 | 1,95 |
| 5333 | დორტმუნდი-ნიურნბერგი | 1,7 | 1,9 |
| 5334 | ვერდერი-ბაიერნი | 1,6 | 2,0 |
| 5335 | არმინია-შტუტგარტი | 1,65 | 1,95 |
| 5336 | შალკე-ბოხუმი | 1,6 | 2,0 |
| 5341 | კალიარი-ბრეშა | 1,7 | 1,9 |
| 5342 | კიევო-ლეჩე | 1,6 | 2,0 |
| 5343 | ატალანტა-ლაციო | 1,65 | 1,95 |
| 5344 | მესინა-სიენა | 1,7 | 1,9 |
| 5345 | მილანი-რეჯინა | 1,9 | 1,7 |
| 5346 | პალერმო-ბოლონია | 1,7 | 1,9 |
| 5347 | პარმა-ფიორენტინა | 1,65 | 1,95 |
| 5348 | სამპდორია-ლივორნო | 1,7 | 1,9 |
| 5349 | უდინეზე-იუვენტუსი | 1,7 | 1,9 |
| 5350 | რომა-ინტერი | 1,6 | 2,0 |
| 5351 | ბეტისი-ვალენსია | 1,65 | 1,95 |
| 5352 | სოსიედადი-ატლეტიკო | 1,65 | 1,95 |
| 5353 | ალბასეტე-ესპანიოლი | 1,65 | 1,95 |
| 5354 | ხეტაფე-ბილბაო | 1,65 | 1,95 |
| 5355 | ლევანტე-მალიორკა | 1,65 | 1,95 |
| 5356 | მალაგა-ოსასუნა | 1,65 | 1,95 |
| 5357 | რასინგი-სევილია | 1,65 | 1,95 |
| 5358 | ვილიარეალი-სარაგოსა | 1,65 | 1,95 |
| 5359 | ბარსელონა-ნუმანსია | 1,9 | 1,7 |
| 5360 | რეალი-დეპორტივო | 1,7 | 1,9 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5217 | საუთჰემპტონი-სიტი | 1,75 | 1,85 |
| 5218 | არსენალი-ჩარლტონი | 2,0 | 1,6 |
| 5219 | ბლეკბერნი-ასტონ ვილა | 1,7 | 1,9 |
| 5220 | ევერტონი-ტოტენჰემი | 1,7 | 1,9 |
| 5221 | ნორვიჩი-პორტსმუთი | 1,7 | 1,9 |
| 5222 | ვესტ ბრომვიჩი-ბოლტონი | 1,7 | 1,9 |
| 5223 | მანჩესტერი-მიდლსბრო | 1,95 | 1,65 |
| 5224 | ბირმინგემი-ნიუკასლი | 1,75 | 1,85 |
| 5225 | ჩელსი-ლივერპული | 1,8 | 1,8 |
| 5226 | კრისტალ პალასი-ფულემი | 1,75 | 1,85 |
| 5228 | ლევერკუზენი-ჰამბურგი | 2,1 | 1,55 |
| 5229 | ვოლფსბურგი-მიონხენგლადბახი | 2,1 | 1,55 |
| 5230 | ჰანსა-ჰანოვერი | 1,95 | 1,65 |
| 5231 | კაიზერსლაუტერნი-ჰერტა | 1,95 | 1,65 |
| 5232 | ფრაიბურგი-მაინცი | 1,9 | 1,7 |
| 5233 | დორტმუნდი-ნიურნბერგი | 2,1 | 1,55 |
| 5234 | ვერდერი-ბაიერნი | 1,95 | 1,65 |
| 5235 | არმინია-შტუტგარტი | 1,85 | 1,75 |
| 5236 | შალკე-ბოხუმი | 2,0 | 1,6 |
| 5241 | კალიარი-ბრეშა | 1,7 | 1,9 |
| 5242 | კიევო-ლეჩე | 1,95 | 1,65 |
| 5243 | ატალანტა-ლაციო | 1,7 | 1,9 |
| 5244 | მესინა-სიენა | 1,7 | 1,9 |
| 5245 | მილანი-რეჯინა | 1,95 | 1,65 |
| 5246 | პალერმო-ბოლონია | 1,7 | 1,9 |
| 5247 | პარმა-ფიორენტინა | 1,7 | 1,9 |
| 5248 | სამპდორია-ლივორნო | 1,75 | 1,85 |
| 5249 | უდინეზე-იუვენტუსი | 1,7 | 1,9 |
| 5250 | რომა-ინტერი | 2,0 | 1,6 |
| 5251 | ბეტისი-ვალენსია | 1,8 | 1,8 |
| 5252 | სოსიედადი-ატლეტიკო | 1,8 | 1,8 |
| 5253 | ალბასეტე-ესპანიოლი | 1,75 | 1,85 |
| 5254 | ხეტაფე-ბილბაო | 1,75 | 1,85 |
| 5255 | ლევანტე-მალიორკა | 1,8 | 1,8 |
| 5256 | მალაგა-ოსასუნა | 1,7 | 1,9 |
| 5257 | რასინგი-სევილია | 1,75 | 1,85 |
| 5258 | ვილიარეალი-სარაგოსა | 1,7 | 1,9 |
| 5259 | ბარსელონა-ნუმანსია | 2,2 | 1,5 |
| 5260 | რეალი-დეპორტივო | 1,95 | 1,65 |

# ცინცაძე გოოგეს სამარაში გაჰყვა
## ბუმ ცსკა-ს გადაუფრინა

მოსალოდნელი იყო და არმიელებმაც ახალგაზრდა გიორგი ცინცაძე სხვა გუნდში გაანათხოვრეს. ცსკა წლეულს ევროლიგის ოთხთა ფინალს მასპინძლობს და ისეთ მძლავრ გუნდს ქმნის, ჩემპიონობა რომ არ გაუჭირდეს და რა გასაკვირია, თუ მასში 18 წლის ქართველის ადგილი ვერ გამოინახა. მოსკოველებს ისედაც უნდა დაეშალათ დუბლიორთა გუნდი, რაკი ბიჭებს ასაკი მოემატათ და კანონი ითვალისწინებდა მათ პროფესიულ კლუბში თამაშს. „ბუს" კი ჰქონდა პარიზული „რასინგის" მიწვევა, მაგრამ საბოლოოდ იქ წავიდა, სადაც მისი კარგად ნაცნობი მწვრთნელი პაველ გოოგე და თანაგუნდელები. სამარის გუნდ ცსკა-ვე-ვე-ესს მოსკოვის ცსკა-ს ცხრა ახალგაზრდამ მიაშურა, რომელთაგან მხოლოდ ორი — გიორგი ცინცაძე და იგორ ვიალცევი მოხვდა ძირითად გუნდში, დანარჩენები კი სამარელთა მეორე, სუპერლიგა B-ში მყოფ გუნდში გადანაწილდნენ. ცინცაძეს გუშინ სამარაში შევეხმიანეთ...



— მეოთხე დღეა, ჩამოვედი, თუმც ძირითად გუნდთან ვარჯიშს ხვალიდან დავიწყებ. „სამარა" ლიტვაში იყო შეკრებაზე და წუხელ დაბრუნდა, მე კი დუბლებში ვვარჯიშობდი და მინი-ტურნირშიც მივიღე მონაწილეობა. ორი თამაში მოვიგეთ და დღეს ფინალია. სამარის დუბლიორთა მწვრთნელმა პაველ გოოგეს სთხოვა, ცინცაძე დღესაც გვათხოვე, ფინალში დაგვეხმარებაო.

— ესე იგი, აქამდე კარგად გითამაშია და იმიტომ გიტოვებენ დუბლიორები...

— საკმაოდ კარგად: პირველ მატჩში 12 ქულა გავაკეთე, მეორეში — 24.

— სამარაშიც პაველ გოოგე რომ გაგწვრთნის, ამაზე რას იტყვი?

— ამაზე კარგი რა უნდა იყოს. გოოგე მოხარშულს მიცნობს, ცსკაში მან წამიყვანა და ახლა ჩემი მთავარი მწვრთნელი რომ იქნება, ალბათ მეტს მათამაშებს. გოოგე მოსკოვშიც არ მაკლებდა ყურადღებას, მაგრამ იქ მთავარი მწვრთნელი დუშან ივკოვიჩი იყო და ცხადია მის უნებართვოდ ვერ მათამაშებდა. გოოგესთან საკმაოდ ახლოს ვარ, ყველანაირად გავუგე ამ კაცს.

— ისე, გქონდა სხვა ვარიანტებიც, ანდა დარჩენის შანსი თუ იყო?

— ვარიანტები მქონდა, ცსკა-ში დარჩენა კი არარეალური იყო. მოსკოველებს ევროლიგის მოგება უნდათ და თითოეულ პოზიციაზე ძალიან გამოცდილი მოთამაშე სჭირდებათ. დუბლიორებს კი ასაკი მოგვემატა და ჩვენი ადგილი ცსკა-ს ახალგაზრდა თაობამ დაიკავა. თითქმის ყველა „სამარაში" გაუშვეს და მეც მათ გავყევი — პაველ გოოგეს [illegible] როლი ითამაშა.

— [illegible] „სამარა" ცსკა-ს დუბლები იქნება?

— არა, „სამარას" ძირითად გუნდში, რომელიც სუპერლიგ A-ში გამოდის, მხოლოდ ორი ცსკა-ელი მოვხვდით — მე და იგორ ვიალცევი. შვიდნი კი მეორე გუნდში ითამაშებენ, რომელიც ქვედა ლიგაში გამოდის.

— ახალ ქალაქში როგორ მოეწყვე?

— ჯერჯერობით ბაზაზე ვარ და ამ დღეებში მომცემენ ბინას. ეს აქამდე იმიტომ ვერ მოხერხდა, რომ მთელი უფროსობა ლიტვაში ახლდა გუნდს.

— კმაყოფილი ხარ თუ არა „სამარაში" გადასვლით და რას ელი?

— რა თქმა უნდა, კარგია, სუპერლიგის გუნდში რომ აღმოვჩნდი, რადგან ცსკა-ში, როგორც ვთქვი, თითქმის გამორიცხული იყო დარჩენა. კმაყოფილი ვარ და ვეცდები, სამარელთა ხუთეულში დავმკვიდრდე. თუ ეს მოვახერხე, ჩემი განვითარება ძალიან სწრაფად წავა, რადგან რუსეთის სუპერლიგა ერთ-ერთი უძლიერესია კონტინენტზე და აქ სისტემატიურად თამაში უდიდეს გამოცდილებას შემძენს. ხვალიდან უშუალოდ ჩემს გუნდში შევუდგები ვარჯიშს და ვეცდები, პაველ გოოგეს აქაც დავუმტკიცო ჩემი შესაძლებლობები.

**ირაკლი ბერტაია**

# დევონმა დადიანური შემოთვალა



**ნუგზარ კანდელაკი აზერბაიჯანელებს სათბილისოდ ამზადებს**

**ვერ ვიტყვით,** დუდუ დადიანის ხსოვნის ტურნირმა საერთაშორისო სტატუსი მოიხვეჭაო, მაგრამ საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში საზღვარგარეთიდან უკვე მოვიდა ამ შეჯიბრში მონაწილეობის თხოვნის ფაქსი.

აზერბაიჯანულმა „ნდტ-დევონმა", რომელსაც საქართველოს ჩემპიონი მწვრთნელი ნუგზარ კანდელაკი თავკაცობს, გუშინწინ ბაქოდან ოფიციალური წერილი მოიწერა, დადიანის ტურნირში გვსურს თამაშიო. „გუნდი ახალი დაკომპლექტებულია და სანამ აზერბაიჯანის ჩემპიონატი დაიწყება, რაც შეიძლება, მეტი ამხანაგური მატჩის გამართვა გვინდა — გვითხრა კანდელაკმა ბაქოდან — რიმას კურტინაიტისის „გალა" ახლახან ჩამოვიდა ლიტვური შეკრებიდან და რომ ვთხოვეთ, გვეთამაშეთო, გვიპასუხეს — გადაღლილები ვართო. ვცდილობთ, რომელიმე ირანული კლუბი დავითანხმოთ სპარინგზე, მაგრამ ჯერ ვერ მოვახერხეთ. თუ დადიანის ტურნირში თამაშის ნებას დაგვრთავენ, ჩვენთვის იდეალური ვარიანტი იქნება, რამდენიმე შეხვედრას ჩავატარებთ და თან ქართულ გუნდებთან. საქართველოს კალათბურთის ფედარაციას უკვე მივმართეთ ამასთან დაკავშირებით და ახლა პასუხს ველით."

შეგახსენებთ, რომ დადიანის ტურნირი 15 ოქტომბერს იწყება და ჯერ არ გარკვეულა, რამდენი გუნდი მიიღებს მასში მონაწილეობას. შესაძლოა, სწორედ მონაწილეთა ჭარბი ოდენობა გახდეს „დევონისთვის" უარის თქმის საფუძველი.

მერაბ რატიშვილი, ფედერაციის გენერალური მდივანი: „აზერბაიჯანული კლუბის ფაქსი უკვე მივიღეთ და ამ დღეებში პასუხსაც გავუგზავნით. მისასალმებელია, რომ დადიანის ტურნირში თამაშის სურვილი საზღვარგარეთის კლუბმაც გამოთქვა. აქაურ გუნდებშიც ძალიან პოპულარულია ეს შეჯიბრი და თუ ყველა კლუბმა ისურვა მასში მონაწილეობა, ეგებ „დევონს" უარი შევუთვალოთ. თუმც ვნახოთ, ყველაფერი მალე გაირკვევა."

**ირაკლი ბერტაია**

# აბა, კონტრაქტი მაჩვენე
## ფედერაცია კლუბ-მოთამაშეების უფლებების დაცვას იწყებს

**კალათბურთის** ფედერაცია დამდეგი სეზონიდან ახალ წესს ამკვიდრებს — კონტრაქტის გარეშე არავის შეეძლება ეროვნულ ჩემპიონატში თამაში.

სიახლე მისასალმებელია და მის შემოღებას 14 სეზონი არ უნდა დასჭირვებოდა, რაკი საკონტრაქტო მეურნეობა თუ მოუწესრიგებელია, ჩემპიონატი ვერასდროს გაიმართება სათანადოდ. არც ყოფილა და იმიტომაც იყო, გუნდიდან გუნდში მოთამაშეები ისე მიმოდიოდნენ, როგორც საკუთარი სახლის ერთი ოთახიდან მეორეში.

რამდენიმე გუნდი ისე არსებობდა, არც ერთ მოთამაშესთან კონტრაქტი არ ჰქონდა გაფორმებული. ანუ კალათბურთელს რომ მოენდომებინა, შეეძლო, სხვა გუნდში შეუფერხებლად გადასულიყო, ანაც საერთოდ დაენებებინა კალათბურთისთვის თავი.

არ იყო კლუბის ინტერესები დაცული და, თავისთავად, არც მოთამაშის. კონტრაქტის არარსებობის პირობებში გუნდის უფროსს



მერაბ რატიშვილი

შეეძლო, დაპირებული გასამრჯელო არ მიეცა კალათბურთელისთვის, ანაც მიეცა ნახევარი და ასეთ გარჩევა-გამორჩევაში არაერთი კლუბისა და მოთამაშის გზები მტკივნეული დავა-კამათით გაყრილა.

„კალათბურთელი, რომელსაც კლუბთან არ ექნება გაფორმებული კონტრაქტი, ეროვნულ ჩემპიონატში თამაშის ლიცენზიას ვერ მიიღებს" — გვითხრა კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა მერაბ რატიშვილმა.

თუმც ჩნდება კითხვა: კონტრაქტიცაა და კონტრაქტიც? ევროკალათბურთში არსებობს პროფესიული კონტრაქტის საერთო მახასიათეელი ნიშნები: მხარეთა უფლება-მოვალეობები, გასამრჯელო და სხვა არაერთი აუცილებელი პირობა. ამასთან კონკრეტული ვალდებულების დარღვევისთვის განსაზღვრული უნდა იყოს ჯარიმა.

ასეთია პროფესიული კონტრაქტი და იმდენად, რამდენადაც ჩვენში ჯერ არაფერია გამართული, ვერც კლუბებს მოვთხოვთ მოთამაშეთათვის იდეალური კონტრაქტების გაფორმებას. ფედერაციას არ დაუწესებია, ხელშეკრულება ასეთი და ასეთი უნდა იყოს და მასში ის პირობები აუცილებლად უნდა შეიტანოთ, რომელიც ორივე მხარის უფლებებს ზედმიწევნით დაიცავსო. მოკლედ, ასეთი სურათი იხატება: როგორიც კლუბი იქნება, კონტრაქტებსაც ალბათ ისეთს უნდა ველოდოთ.

დღემდე კონტრაქტების მხრივ მეტ-ნაკლებად მოწესრიგებელი გუნდები იყვნენ „სტუ-ჯეოსელი", „ბასკო" და „დინამო". თუმც ბოლოს „დინამოშიც" აირია საქმე, როცა დრაჟენ ბრაიკოვიჩის გუნდს დაფინანსება შეუმცირეს და, რაკი შეპირებულ ხელფასს ვერ უხდიდნენ, არაერთმა კონტრაქტიანმა მოთამაშემ დატოვა გუნდი.

**ირაკლი ბერტაია**

## რაგბი

# რუსები ყინვაშიც უნდა გავალღოთ



**გუშინ გადაწყდა:** საქართველოს მორაგბეთა ნაკრები 20 ნოემბერს მაინც ესტუმრება რუსეთს. მოგეხსენებათ, საქართველოს რაგბის კავშირს სურდა, კრასნოდარული ჯახი გაისად ივნისში გადაეტანა, რისი მიზეზიც ფრანგული ლეგიონის ჩამოსვლის პრობლემა და ასევე რუსული ყინვა-ყიამათი გახლდათ.

ჩვენებმა FIRA-ში გააგზავნეს მოთხოვნა, თუმც გუშინ ოფიციალური უარი მიიღეს. სხვათა შორის, რაგბის კავშირში ეს ბევრს გაუხარდა და არცთუ უსაფუძვლოდ: რუსეთის ჩემპიონატი 20 ნოემბერს უკვე დასრულებული იქნება და მათი მორაგბეები ცოტა უფერულ ფორმაში იქნებიანო.

შეგახსენებთ, რომ ბორჯღალოსნებმა უკვე დაიწყეს ვარჯიში, თუმცა, ცხადია, ლეგიონერების გარეშე. რამდენიმე დღეა, მალხაზ ჭეიშვილი და დავით ჩავლეიშვილი ხან სპორტის აკადემიის, ხანაც „ეროვნული“ სტადიონის სათადარიგო მინდვრებზე ავარჯიშებენ ბიჭებს. კრასნოდარის მატჩამდე კი, 25 ოქტომბრიდან 9 ნოემბრამდე, ნაკრებს ტურნე ელის სამხრეთ ამერიკაში, სადაც ჩილეს, ურუგვაისა და პორტუგალიის ნაკრებებს ყოველწლიური „კონსარის თასის“ მოპოვებაში შეეცილებიან.

**ილია ნანობაშვილი**

## კალათბურთი

# ისევ დენის როდმანზე

## კუზიანი სამარემდე გამოასწორებს?



**დაივიწყეთ** დენის როდმანის „ისტორიული“ ფრაზა — „ჩემს ბოლო თამაშში მოედანზე შიშველი გამოვალ“. დედიშობილებისა და სიგიჟეების რა მოგახსენოთ და, გაფრენილი თითქმის ლეგენდა სერიოზულად ფიქრობს კალათბურთში დაბრუნებაზე. თანაც ცისარტყელოვანი დენისი გულმოდგინეთ ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ მხოლოდ სპორტული ინტერესის გამო აკეთებს ამას.

„მე მხოლოდ ის მინდა, ჩემი კარიერა მაჟორულ ნოტაზე დავასრულო. ფულის გამო არ ვბრუნდები, ფული არაფერ შუაშია. მე მინდა დავბრუნდე ერთი, ან შესაძლოა, ორი წლით და ვაჩვენო ხალხს, რომ თამაში სიამოვნებაა. მე მინდა, ამ ლიგაში სპორტული წარმოდგენა დავაბრუნო.“

ეს დღეებია, 43 წლის როდმანი მუხლჩაუხრელად ვარჯიშობს „დენვერ ნაგიტსთან“ ერთად და იძახის თავს მხნედ ვგრძნობ, თუმცა 4 წელია, არ მითამაშიაო. სასმელიც გადავაგდე და სპირტიანი, მთელღამიანი ორგიებიც წარსულში დავტოვე, წელიწადზე მეტია, რჯულზე არ დავმთვრალვარო, ახლა საქმე გამომიჩნდა და მინდა ამ საქმეში დავიხარჯოთო და სხვა ამგვარი... ერთი სიტყვით გვარწმუნებს, მოვინანიე ჩემი ცოდვიანი წარსულიო.

რატომ „დენვერ ნაგიტსი“? იმიტომ, რომ ამ კლუბის საქმეთგამრიგე კიკი ვანდევეი როდმანის ძველი მეგობარი და თანაგუნდელი გახლავთ. 80-იანი წლების ბოლოს მათ რამდენიმე სეზონი მხარდამხარ უთამაშიათ „დეტროიტ პისტონზში“.

„რა შუაშია შეცოდება? მე მინდა ჩემს თავს დავუმტკიცო რაღაც და ჩემი ცხოვრება გავაწონასწორო. მე კიდევ შემიძლია თამაში და ამიტომ მინდა დაბრუნება. რა თქმა უნდა, კიკი ჩემი მეგობარია და სასიამოვნო იქნება მის გუნდში თამაში, მაგრამ თუ ის მეგობრობის და მოწყალების გამო ამიყვანს, მე ჩემს გზას ვიპოვი.“

სიამაყე და თავმოყვარეობაც არ დაუკარგავს, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი წელი ლიგაში ყველაზე დიდი მასხარა გახლდათ.

ერთხელაც ვთქვათ და „დენვერს“ შესაძლოა, კიდევ ერთი დიდი ვეტერანი შეემატოს. 42 წლის კლაიდ დრექსლერიც „ნაგიტსში“ ვარჯიშობს და არანაკლებ სერიოზულად ფიქრობს ამ გუნდთან ერთად მწვერვალების დაპყრობაზე.

**კოტე ყორშია**

## ჩოგბურთი

# დევისის დევები და ჭინჭრაქები

## ლაბაძეს ბულგარეთი ერგო

**წლევანდელ** სადევისთასო სეზონში საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა ჯერ იტალიაში წააგო, თუმც თბილისში ეგვიპტელებს იოლად გაუსწორდა და ევროაფრიკული ზონის B ჯგუფში ადგილი შეინარჩუნა.

გუშინ კი დევისის თასის საგაისო ტურნირის ყველა ჯგუფში გაიმართა კენჭისყრა. ქართველები 4-6 მარტს ბულგარეთის ნაკრებს ესტუმრებიან.

ქართველი მეჩოგნეების შნო-მარიფათზე საურბით თავს არ შეგაწყენთ. სამწუხაროდ, ირაკლი უშანგიშვილი, დავით კვერნაძე და ლადო ჩიხლაძე ბულგარელთა ლიდერებივით ვერ იქნევენ ჩოგნებს. სამაგიეროდ სლავებს ATP-ის რეიტინგში 61-ე ადგილოსან ირაკლი ლაბაძის დონის კაციც არ ჰყავთ. აი, მათი ლიდერებიც: ტოდორ ენევი მსოფლიო რეტინგსიაში 283 ადგილზეა, იორდან კანევი 317-ე გახლავთ, ილია კუჩევი კი 346-ე. კარგი იქნება, ირაკლის შარშანდელივით მარტო — როგორც იტალიასთან — თუ არ მოუწევს ტვირთის ზიდვა.

ბულგარელთა ძლევის შემთხვევაში, ჩვენებს კიდევ ერთი მეტოქის დამარცხება მოუწევთ, რათა ევროაფრიკული ზონის A ჯგუფში აცოცდნენ. ეს ნაღდად არ ჩაითვლება შეუსრულებელ ამოცანად — სლავ ვაჟებს ხმაურიან საჩოგბურთო წარმატებებს ვერ „დავაბრალებთ“, მათ ქალები უფრო ყოჩაღები ჰყავთ — თუნდაც მარტო მაგდალენა მალეევა ვახსენოთ.

სხვაფრივ რაც შეეხება „ბობოლათა“ მარაქას: დევისის თასის 31-გზის ჩემპიონი და წელსაც ფინალში გასული ამერიკა ხორვატიას უმასპინძლებს და წესით, პირველი წრის, ანუ მერვედფინალის გადაგორება არ უნდა გაუჭირდეს. ალბათ ცოტა მეტი წვალება მოუწევთ მეორე წლევანდელ ფინალისტ და მოქმედ ჩემპიონ ესპანელებს, რომლებიც დომინიკ ჰრბატით თამომწონე სლოვაკეთს ესტუმრებიან. ბარემ ჩვენს ჩრდილოელ მეზობელ რუსებზეც ვთქვათ, რომლებსაც ათენის ოლიმპიადის გმირ ჩილელებთან მოუწევთ ჩოგნის ქნევა.

პროგნოზებისგან მაინც შევიკავოთ თავი, თამაშები მარტში გაიმართება და მანამდე შანსები და რეიტინგიც გადასხვაფერდება.

**ილია ნანობაშვილი**

**მსოფლიო ჯგუფი**

მერვედფინალი (4-6 მარტი)

| | |
|---|---|
| სლოვაკეთი — ესპანეთი | |
| შვეიცარია — ჰოლანდია | |
| ავსტრალია — ავსტრია | |
| არგენტინა — ჩეხეთი | |
| რუსეთი — ჩილე | |
| საფრანგეთი — შვედეთი | |
| რუმინეთი — ბელარუსი | |
| აშშ — ხორვატია | |

მეოთხედფინალი (15-17 ივლისი)

ნახევარფინალი (23-25 სექტემბერი)

ფინალი (2-4 დეკემბერი)

**ევროაფრიკული ზონა, A ჯგუფი**

საკვალიფიკაციო წრე

სერბეთი — ზიმბაბვე

ლუქსემბურგი — იტალია

*დიდი ბრიტანეთი, ისრაელი, ბელგია, მაროკო, სამხრეთ აფრიკა და გერმანია საკვალიფიკაციო თამაშისგან თავისუფლები არიან.*

**ევროაფრიკული ზონა, B ჯგუფი**

განა — ფინეთი

ბულგარეთი — საქართველო

მონაკო — უნგრეთი

უკრაინა — ნორვეგია

ალჟირი — პოლონეთი

კოტ დივუარი — სლოვენია

ლატვია — საბერძნეთი

ესტონეთი — პორტუგალია



ირაკლი ლაბაძე

## ავტორბოლა

# სატესტო ამბები

## ვინ იპოვის იაპონიას?

**წლევანდელი** სეზონის ბოლოსწინა, იაპონური ეტაპისთვის მოსამზადებლად მეფორმულეები ტესტებს ატარებენ. ვარჯიშები ორ ტრასაზე — ესპანურ ხერესსა და იტალიურ ფიორანოში მიმდინარეობს.

„ფერარის“ საკუთარ ტრეკზე ფიორანოში, როგორც წესი, მხოლოდ სკუდერიელები დანავარდობენ და ვარჯიშიც უცხო თვალისთვის დახურულია. ორი დღე „ფერარის“ სათადარიგო მძღოლი ანდრეა ბერტოლინი ცდიდა სიახლეებს, სამკილომეტრიან ტრასაზე 77 და 105 წრე გაიქროლა, საუკეთესო — 57,5 წამში, რაც წამნახევრით უარესია მიხაელ შუმახერის სარეკორდო შედეგზე.

„ხერეს დე ლა ფრონტერაზე“ ვერ გაიჯირითა უილიამსელმა ანტონიო პიცონიამ. ბრაზილიელი პილოტი ერთი კვირის წინ შანხაის სასტუმროს მარმარილოს კიბეზე წაბორძიკდა და ფეხი იღრძო.

პირველ დღეს ათ მრბოლს შორის ყველაზე სწრაფი „რენოს“ ტესტ-დრაივერი ფრენკ მონტანი იყო, რალფ შუმახერი მეორე დღეს მიუჯდა საჭეს, 80 წრე გაიარა და საუკეთესო დროც აჩვენა.



იაპონიაში რბოლამდე რალფ შუმახერი ესპანეთში ვარჯიშობს

მარცხი შეემთხვათ ფერარელთა მთავარ მეტესტე ლუკა ბადოერს და „ტოიოტაში“ პირველად ჩამჯდარ იარნო ტრულის. ლუკას ბოლიდს მუხრუჭები მოეშალა და ძველი საბურავების კედელში შევარდა, იარნოს კი საბურავი გაუსკდა.

მრბოლელები არ დაშავებულან და მეორე დღეს მუშაობა გააგრძელეს.

შეგახსენებთ, „რენოს“ ბოსი ფლავიო ბრიატორე სეზონის გასრულებას არ დაელოდა და გუნდიდან ისედაც აბარგებული ტრული სამი ეტაპით ადრე მოხსნა სამსახურიდან. ამან მოვლენები დააჩქარა და 30 წლის იტალიელი ალბათ 10 ოქტომბერს თავისი ახალი საჯინიბოს მანქანით გამოვა იაპონიის დიდი პრიზის გათამაშებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უეფას თასი 2004-2005

III საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

| | | |
|---|---|---|
| მეტალურგსი (ლატვია) | 0:4 | შალკე (გერმანია) (1:5) |
| გენჩლერი (თურქეთის) | 1:1 | ეგალეო (საბერძნეთი) (0:1) |
| შტუტგარტი (გერმანია) | 4:0 | უიპეშტი (უნგრეთი) (3:1) |
| დნიპრო (უკრაინა) | 2:0 | მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) (0:1) |
| ჰერენვენი (ჰოლანდია) | 5:0 | მაკაბი (ფეთაჰ თიკვა, ისრაელი) |
| ცსკა (ბულგარეთი) | 2:2 | სტიაუა (რუმინეთი) (1:2) |
| შატორუ (საფრანგეთი) | 1:2 | ბრიუგე (ბელგია) (0:4) |
| ამიკა (პოლონეთი) | 1:0 | ვენტსპილსი (ლატვია) (1:1) |
| სიგმა (ჩეხეთი) | 2:3 | სარაგოსა (ესპანეთი) (0:1) |
| დინამო (რუმინეთი) | 0:0 | პარტიზანი (სერბეთი) (1:3) |
| ლიტექსი (ბულგარეთი) | 1:0 | გრაცერი (ავსტრია) (0:5) |
| სტაბეკი (ნორვეგია) | 0:5 | სოშო (საფრანგეთი) (0:4) |
| ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) | 1:2 | ზენიტი (რუსეთი) (0:4) |
| ბრაგა (პორტუგალია) | 2:2 | ჰართსი (შოტლანდია) (1:3) |
| ლილი (საფრანგეთი) | 2:0 | შელბურნი (ირლანდია) (2:2) |
| ბეშიქთაში (თურქეთი) | 1:0 | ბოდიო გლიმტი (ნორვეგია) (1:1) |
| ჰაპოელი (ბნეი საჰნინი, ისრაელი) | 1:5 | ნიუკასლი (ინგლისი) (0:2) |
| ალემანია (გერმანია) | 0:0 | ჰაფნარფიორდური (ისლანდია) (5:1) |
| ბევერენი (ბელგია) | 1:0 | ლევსკი (ბულგარეთი) (1:1) |
| ოსერი (საფრანგეთი) | 2:0 | ოლბორგი (დანია) (1:1) |
| ალკმაარი (ჰოლანდია) | 2:1 | პაოკ (საბერძნეთი) (3:2) |
| ელფსბორგი (შვედეთი) | 0:0 | დინამო (ხორვატია) (0:2) |
| ბაზელი (შვეიცარია) | 2:0 | ტერეკი (რუსეთი) (1:1) |
| იურგორდენი (შვედეთი) | 3:0 | უტრეხტი (ჰოლანდია) (0:4) |
| მარიბორი (სლოვენია) | 0:0 | პარმა (იტალია) (2:3) |
| ბოხუმი (გერმანია) | 1:1 | სტანდარდი (ბელგია) (0:0) |
| აეკ (საბერძნეთი) | 1:0 | ნოვა გორიცა (სლოვენია) (1:1) |
| ფეიენოორდი (ჰოლანდია) | 4:1 | ოდ გრენლანდი (ნორვეგია) (1:0) |
| ბანიკი (ჩეხეთი) | 1:1 | მიდლსბრო (ინგლისი) (0:3) |
| რაპიდი (ავსტრია) | 0:0 | სპორტინგი (პორტუგალია) (0:2) |
| ლეგია (პოლონეთი) | 1:3 | აუსტრია (ავსტრია) (0:1) |
| უდინეზე (იტალია) | 1:0 | პანიონიოსი (საბერძნეთი) (1:3) |
| ნასიონალი (პორტუგალია) | 1:2 | სევილია (ესპანეთი) (0:2) |
| ფერენცვაროში (უნგრეთი) | 3:1 | მილუოლი (ინგლისი) (1:1) |
| ბენფიკა (პორტუგალია) | 2:0 | ბ. ბისტრიცა (სლოვაკეთი) (3:0) |
| ლაციო (იტალია) | 3:0 | მეტალურგი (უკრაინა) (3:0) |
| რეინჯერსი (შოტლანდია) | 1:0დ.დ. (4:2 პენ.) | მარიტიმუ (პორტუგალია) (0:1) |
| ბილბაო (ესპანეთი) | 2:0 | ტრაბზონი (თურქეთი) (2:3) |
| ვილიარეალი (ესპანეთი) | 3:0 | ჰამარბი (შვედეთი) (2:1) |



ზურაბ ხიზანიშვილი, შოთა არველაძე და ძმანი მათნი უეფას თასს რის ვაი-ვაგლახით შემორჩნენ

# ნემსოს ბუცებზე ვაკოცებ

## ხიზანიშვილს უკრაინა ძალიან საეჭვო გაუხდა

*გაგვახარა „დინამომ", გავიხარეთ ლევან კობიაშვილის „შალკეს" და არველაძე-ხიზანიშვილის გუშინდელი წარმატებებითაც, თუმც გლაზგოდან ერთი უსიამოვნო ამბავიც შევიტყვეთ – ზურაბ ხიზანიშვილი 13 ოქტომბერს ლვოვში უკრაინის ნაკრებთან ალბათ ვერ ითამაშებს*

*შოთა არველაძე:* ზურამ „მარიტიმუსთან" ძალიან მაგრად ითამაშა, მაგრამ კუნთი ისე დაეჭიმა, რომ უკრაინასთან ვერ ითამაშებს.

— პენალტების სერიაში თერთმეტმეტრიანი გააცუდე — ბოლო დროს თითქოს დანავსული ხარ...

— „მარიტიმუსთან". მატჩამდე სამი დღე არ მივარჯიშია, რადგან კუნთი მქონდა დაჭიმული, მაგრამ ალექს მაკლიშმა მაინც შემიყვანა განაცხადში და შეცვლაზე მათამაშა.

— „დინამოს" გამარჯვებას ელოდი?

— კი, რადგან ძალიან მინდოდა, რომ მოეგო. „დინამოს" გამარჯვებას მთელ საქართველოს ვულოცავ.

— „დინამო" და „რეინჯერსი" ერთ ჯგუფში რომ მოხვდნენ...

— ძალიან გამიხარდება, ჯგუფიდან სამი გუნდი გადის და ალბათ ორივენი გავიდოდით მომდევნო ეტაპზე.

*ზურაბ ხიზანიშვილი:* დაჭიმული კუნთის გამო ტკივილი თამაშის შემდეგ ვიგრძენი. ასეთი რამ პირველად არ მომსვლია და ასეთი ტკივილი მსუბუქმა ტრავმამ არ იცის. უკრაინასთან ალბათ ვერ ვითამაშებ.

— „დინამოს" გამარჯვებაზე რას იტყოდი?

— თბილისში რომ ჩამოვალ, ნემსოს ბუცებს გავუწმინდავ და ფეხზე ვაკოცებ.

**დავით თავართქილაძე**



დარიუშ დუდეკის „ლეგია" სასა პაპაცის „აუსტრიას" დაეჩაგვრინა



უდინეზელი ვიჩენცო იაკინტა ჰაერში კი გასწორდა, მაგრამ ბურთი უკან დარჩა

### შვეიცარია

ჩელენჯლიგა
გადადებული მატჩი

შო დე ფონი 2:2 კრიენსი

### იტალია

თასის II ეტაპი
საპასუხო მატჩი

სიენა 1:1 მესინა (1:0)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გმადლობთ!





ბადრი კეთილაძის ფოტოები




**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია აზვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჩაია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ზუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან ქელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხნიშვილი, ელენე გლეტიაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ფალიაშვილი, მადონა დოგრაშვილი, ზვიად მისიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge